

ქართული გალობა  
ანთოლოგია

Georgian Chant  
Anthology

I



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
The Folklore State Centre of Georgia

ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

# ქართული გალობა ანთოლოგია ტომი I

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია  
გელათის სკოლა

იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ დიდის ლიტურგიების,  
მღვდლის კურთხევისა და ჯვრისწერის განგებათა და მიცვალებულთა  
მსახურების საგალობლები

## Georgian Chant Anthology Volume I

The Chanting Tradition of Western Georgia  
The Gelati School

Chants for the Liturgies of John Chrysostom, Basil the Great; the Pre-Sanctified Liturgy  
of Gregory the Great, the Rites of the Ordination of a Priest and Marriage, and the  
Service for the Deseased

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II ლოცვა-კურთხევით  
Published with the blessings of Katholikos-Patriarch of all Georgia Ilia II

თბილისი  
Tbilisi  
2016



ანთოლოგია „ქართული გალობა“ მიზნად ისახავს XIX-XX საუკუნეებში ნოტირებული ქართული ტრადიციული საგალობლის ყველა ნიმუშის აკადემიური ხასიათის პუბლიკაციას. გამოცემა განკუთვნილია მგალობლების, საგუნდო კოლექტივების, მკვლევრებისა და საეკლესიო მუსიკის მოყვარულთათვის.

ანთოლოგიის I ტომში დაბეჭდილია ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტირებული და 1895, 1899 და 1901 წელს გამოცემული იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ დიდის ლიტურგიების, მღვდლის კურთხევისა და ჯვრისწერის განგებათა და მიცვალებულთა მსახურების საგალობლები.

The anthology „Georgian Chant“ aims to issue an academic publication of all examples of Georgian traditional chant notated in the 19th-20th centuries. The publication is intended for chanters, choirs, researchers and church music lovers.

First volume of the Anthology includes the Liturgies of John Crysosdome, Basil the Great, Gregory the Great; chants for pre-sanctified Liturgy and the Rites for ordination of a priest and Marriage.

**იდის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
The author and Project Leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

**I ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები:** ლევან ვეშაპიძე და სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი  
Compilers and musical editors of volume I: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

**შესავალი წერილებისა და კომენტარების ავტორები:** სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი და ლევან ვეშაპიძე  
The authors of introductions and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili, Levan Veshapidze

**რედაქტორები:** რუსუდან წურწუმია და თამარ ჩხეიძე  
Editors: Rusudan Tsurtsunia, Tamar Chkheidze

**გამოცემაზე მუშაობდნენ:** ნინო რაზმაძე, ბაია ჟუჟუნაძე  
The publication was prepared by: Nino Razmadze, Baia Zhuzhunadze

**მთარგმნელები:** მარიამ ცოცხალაშვილი, ნინო მარგებაძე  
Translators: Mariam Tsotskhalashvili, Nino Margebadze

**ინგლისური ტექსტების რედაქტორები:** მარინა კაგანოვა, ბენ ვილერი  
English text editors: Marina Kaganova, Ben Wheeler

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ლევან ვეშაპიძე  
Computer services: Levan Veshapidze

**დიზაინერი** ნიკოლოზ გოგაშვილი  
Designer Nikoloz Gogashvili

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი  
Folklore State Centre of Georgia

© ფონდი ქართული გალობა  
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802100-95-4 (ყველა ტომის)

ISMN 979-0-802100-96-1 (პირველი ტომის)

## შესავალი

სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა 2011 წლის 20 დეკემბერს წმიდათა დასში შერაცხა დიდი საეკლესიო და ეროვნული მოღვაწეები, ქართული ქრისტიანული კულტურის და, განსაკუთრებით, ჩვენი მრავალხმიანი საეკლესიო გალობის გადარჩენისათვის თავდადებული მამები. წმინდანებად აღიარების შემდეგ, მათ, სინოდის განჩინებით ეწოდათ: — წმიდა ფილიმონ მაგალობელი, ერისათვის თავდადებული (ქორიძე); წმიდა მღვდელმონაქონი პეტრე და ანდრია (კარბელაშვილები), წმიდა აღმსარებელი, ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი); წმიდა აღმსარებელი პოლიევქტოსი (კარბელაშვილი); წმიდა აღმსარებელი ფილიმონი (კარბელაშვილი).

ეს წმინდანები ღირსეული თანამოსაგრენი იყვნენ XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ჩვენი ქვეყნის თავისუფლების, აღმშენებლობისა და სულიერი გაბრწყინებისათვის მოღვაწე მამებისა — წმიდა ილია მართლისა (ჭავჭავაძე); წმიდა მღვდელთმთავართა გაბრიელისა (ქიქოძე); ალექსანდრესი (ოქროპირიძე); წმიდა დიმიტრი ყიფიანისა, ერისათვის თავდადებულისა; წმიდა ექვთიმე აღმსარებლისა (კერესელიძე), წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისა (თაყაიშვილი); წმიდა კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმონაქონისა კირიონისა (საძაგლიშვილი) და აღმსარებლისა ამბროსისა (ხელაია); წმიდა აღმსარებელ ალექსი შუშანიასი, ასევე, ვაჟა-ფშაველასი, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა, ნიკო ნიკოლაძისა...

ამ დიდებულმა მოღვაწეებმა გადაგვარებისა და განადგურების უეჭველი საფრთხისაგან გადაარჩინეს ქართველი ერი, ქართული ეკლესია, ქართული კულტურისა და ხელოვნების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვრები.

სწორედ მათ შექმნეს ახალ ეპოქაში ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს ჰარმონიული განვითარების მოდელი და საფუძველი. ამ მოდელის ძირითადი იდეა იყო ქართული ეროვნულ-ქრისტიანული ღირებულებებისა და კულტურის ორგანული სინთეზი ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის საუკეთესო მონაპოვრებთან. ეს იდეა, ფაქტობრივად, ეფუძნებოდა და აგრძელებდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებულ პარადიგმას, რომელიც მუდამ გულისხმობდა გარემომცველი სამყაროს სააზროვნო თუ კულტურულ მონაპოვართა ინტეგრირებას ეროვნულ კულტურაში; პოლიფონიური, „უთვალავი ფერის“ მქონე სამყაროს ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე, ტენდენციასა თუ ღირებულებაზე რეფლექსიას, ევროპისკენ მიმართული ქრისტიანულ-ეროვნული მსოფლმხედველობრივი პოზიციით. ამ მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილი მოღვაწენი მემკვიდრენი იყვნენ იმათი, ვინც მთელი ცხოვრება ამ იდეის დამკვიდრება-განვითარებას მიუძღვნა — მეფე მირიანისა და დედოფალ ნანასი; ვახტანგ გორგასლისა; იოანე საბანისძისა; გრიგოლ ხანძთელისა; გიორგი მერჩულესი; იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელებისა; იოანე პეტრიწისა; ეფრემ მცირესი, დავით აღმაშენებლისა; მეფე თამარისა; შოთა რუსთაველისა; მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბასი, დავით გურამიშვილისა, ანტონ კათოლიკოსისა...

ამავე გზის გაგრძელებაა XIX საუკუნის დამლევს ქართული გალობის გადარჩენისათვის ბრძოლა, რაც წარმატებით დასრულდა კიდეც — ევროპული ნოტაციის წყალობით, გაქრობას გადაურჩა უნიკალური ქართული სასულიერო მრავალხმიანობა.

ტრადიციული საგალობლების სანოტო ანთოლოგიის გამოცემა ქართველ მუსიკოსთა არაერთი თაობის სურვილი და ოცნება იყო. XIX-XX საუკუნეების გასაყარზე ჩვენს წინაპართა მიერ სტამბურად გამოცემული თუ მანუსკრიპტის სახით შესრულებული სანოტო კრებულთა სერიები, ფაქტობრივად, პირველ ასეთ ანთოლოგიას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, მაშინ ვერ მოხერხდა ქორიძის, ძმები კარბელაშვილების, კერესელიძისა თუ სხვათა ხელნაწერების სრული გამოცემა. მაგრამ, ღვთის წყალობით, ეს ეროვნული საუნჯე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ცენტრალურ ეროვნულ არქივსა და სხვა საცავებშია შემონახული.

## ანთოლოგიის კონცეფცია

ქართული გალობის ანთოლოგიის კონცეფცია რამდენიმე ძირითად მომენტს ემყარება:

ანთოლოგია სამეცნიერო-პრაქტიკული დანიშნულების გამოცემაა, რომლის მიზანია, შეძლებისდაგვარად, თავი მოუყაროს ქართული სამგალობლო ტრადიციის ყველა საგალობელს. ამ მიზნით, მის კრებულებში დაიბეჭდება სხვადასხვა სამგალობლო სკოლისა და ლიტურგიკული განგების კუთვნილი საგალობლები (საგალობელთა ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროებიდან).

გამოცემის სამეცნიერო ხასიათს სანოტო მასალის წარმოდგენის ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს, რაც გულისხმობს საგალობლის პირველწყაროს მონაცემების მაქსიმალურად

ასახვასა და მათში მინიმალურ სარედაქტორო ჩარევას, ხოლო პირველწყაროსეული ტექსტისაგან გარდაუვალი გადახრის შემთხვევაში, — ამ აუცილებლობის სათანადო არგუმენტირებას.

ამ მიზნით, კრებულებში, საგალობელთა რედაქტირებულ ვერსიებთან ერთად წარმოვაჩინეთ მათ დედნიესულ მონაცემებს და ზოგჯერ — დედნიესულ პარტიტურებსაც. ზოგიერთ შემთხვევაში, წარმოვადგენთ კონკრეტული საგალობლის ჰარმონიული თუ სხვა ასპექტის ორ ან რამდენიმე სარედაქტორო ინტერპრეტაციას. ყოველი სარედაქტორო ცვლილება, აუთენტური ტექსტისაგან ყოველი გადახვევა აღნიშნული და, საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთებული იქნება სქოლიოში.

აღვნიშნავთ, რომ საგალობელთა ხელნაწერებსა თუ გამოცემებში ჩარევა-ცვლილებები, ძირითადად, შემდეგ მომენტებში ხდება საჭირო:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც საგალობლის ხელნაწერ თუ ნაბეჭდ ორიგინალში აშკარა შეცდომაა — მაგ. ფინალის უნისონის ნაცვლად არის სეკუნდა, ან კვინტის ნაცვლად — ტრიტონი და მსგავსნი. ასეთი შემთხვევები მითითებულია სქოლიოში.

ბ) მაშინ, როდესაც საგალობელი ჩანერილია ტაქტებად, ფორმალური რეგულარული მეტრული საზომით, ანუ მის ინტონაციურ-ესთეტიკურ ბუნებასთან შეუსაბამოდ. ასეთ ნიმუშებში ტაქტები გაუქმებულია და საგალობლები მუხლებადაა დაბეჭდილი. გამოცემაში ასეთი შემთხვევები მითითებული არ არის, რადგანაც ცვლილება, ფაქტობრივად, საგალობლის მუსიკალურ ქსოვილს არ ეხება.

გ) თუკი ორიგინალში მოცემული ალტერაციის ნიშნებით ინტონირება გალობის ან კონკრეტული მელოდიისათვის არატიპურ ფლერადობას ქმნის. ასეთ შემთხვევებში, შესაბამისი ცვლილებების შესახებ, სქოლიოში, ყოველ კონკრეტულ საგალობელთანაა მითითებული.

ანთოლოგიის ყოველ ტომს წარემძღვარება განმარტებითი შესავალი წერილი, რომელიც წარმოაჩენს მუსიკალური ტექსტის სხვადასხვა ასპექტის რედაქტირების თავისებურებებს და დაეხმარება შემსრულებლებსა თუ მკვლევრებს მის ნაკითხვაში.

ჩვენ, ჯერ-ჯერობით, არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, თუ ანთოლოგიის რამდენ ტომში გადანაწილდება ჩვენამდე მოსული მთელი სამგალობლო საუნჯე (მისი მოკლე აღწერა-ჩამონათვალი იხილეთ მომდევნო ქვეთავში). მაგრამ, ის კი შეიძლება ითქვას, რომ საგალობლების ყველა კორპუსი ერთნაირად არაა გამოკვლეული. ზოგიერთი მათგანის შესახებ ქართულ მუსიკოლოგიაში უფრო მეტი ცოდნაა დაგროვებული, ზოგიერთის შესახებ კი — ნაკლები. მაგალითად, I-IV ტომებში შეტანილი წირვის საგალობლების შესახებ ქართულ მუსიკოლოგიაში განხორციელებული კვლევები, უფრო მრავალრიცხოვანი და საფუძვლიანია. საგულისხმო კვლევებია ჩატარებული ქართული გალობის რვა ხმის სისტემის სფეროშიც. მაგრამ, ზოგიერთი სამგალობლო ჟანრის ინტონაციური თუ კომპოზიციური ასპექტები ნაკლებადაა შესწავლილი მკვლევართა მიერ. ასეთთა რიცხვს, უპირველესად, მიეკუთვნებიან მრავალრიცხოვანი ძლისპირები, რომლებიც შემონახული გვაქვს როგორც ქორიძე-კერესელიძის, ასევე, კარბელაშვილთა და სხვათა ხელნაწერებში.

შესაბამისად, პირველი ჯგუფის (შედარებით ღრმად გამოკვლეული) საგალობლებისადმი მიძღვნილი ანთოლოგიის ტომები ისტორიული, ლიტურგიკული თუ მუსიკოლოგიური ხასიათის მეტი ინფორმაციის შემცველი იქნება, ხოლო ძლისპირები (მაგალითად, ანთოლოგიის VI-VIII ტომებში) შედარებით ნაკლები კომენტარებითა და მითითებებით იქნება წარმოდგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანთოლოგია აკადემიური სამეცნიერო გამოცემაა, მაგრამ მისი ფორმატი ფუნდამენტურ კვლევას არ ითვალისწინებს. ვიმედოვნებთ, რომ იგი სტიმული გახდება ქართული გალობის ქართველ თუ უცხოელ მკვლევართათვის, მეცნიერული ცოდნის ამ სფეროში არსებული „თეთრი ლაქების“ შევსებისათვის.

კრებულებში საგალობლების უმეტესობა პირველად გამოქვეყნდება, რაც მრავალ უცნობ მუსიკალურ შედევრს გახდის ხელმისაწვდომს მგალობლების, საგუნდო კოლექტივებისა და დაინტერესებული პირებისათვის და ხელს შეუწყობს მათ საღვთისმსახურო და საშემსრულებლო პრაქტიკაში დანერგვასა და პოპულარიზაციას. სწორედ ამაში მდგომარეობს ანთოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება.

ანთოლოგია რამდენიმე პრინციპის გათვალისწინებით იქნება შედგენილი — თითოეულ ტომში წარმოვადგენთ ერთი რომელიმე სკოლის/სამგალობლო ტრადიციის საგალობლებს. ანთოლოგიის ტომთა უმრავლესობა შინაარსობრივად და საგალობლების თანმიმდევრობით, ძირითადად, გაიმეორებს ქორიძის, კარბელაშვილებისა და ხუნდაძის მიერ გამოცემული კრებულების, ასევე, კერესელიძისა და ქორიძის ხელნაწერი სანოტო კრებულების (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q და H კოლექციებიდან) შედგენილობა-თანმიმდევრობას — ე.ი. მათ მსგავსად, ანთოლოგიაშიც საგალობლები დაჯგუფდება ლიტურგიკული განგებებისა და საეკლესიო კალენდრის მიხედვით.

იმ შემთხვევებშიც, როდესაც ანთოლოგიის ზოგიერთ ტომში მუსიკალური მასალა ისეთი არქივებიდან შევა, სადაც ისინი ლიტურგიკული ან რაიმე სხვა პრინციპით არაა დალაგებული, საგალობლები კონკრეტული ლიტურგიკული განგების მიხედვით დალაგდება.



ანთოლოგიის პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, ჩვენ ვცდილობთ ნაკლებ ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალის რესტავრირებასა და თანამედროვე ლიტურგიკულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას — ცხადია, პირველწყაროთა მონაცემების დეტალური აღწერა-გადმოცემის პარალელურად.

კერძოდ, გვხვდება შემთხვევები, როდესაც წყაროებში ნოტირებულია საგალობლის მხოლოდ ცალკეული ხმები (ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერებში, როგორც წესი, ეს I ხმის, „მთქმელის“ პარტიაა, ხოლო კარბელაშვილთა ხელნაწერებში გვხვდება რიგი საგალობლები, როდესაც 3 ხმიდან მხოლოდ რომელიმე ერთის ან რომელიმე ორი ხმის პარტიების ჩანაწერიღაა ჩვენამდე მოსული). ანთოლოგიაში ასეთი საგალობლების ნაკლები ხმები წარმოდგენილია რედაქტორის მიერ აღდგენილი სახით.

ასევე, ზოგჯერ, ლიტურგიკული აუცილებლობიდან გამომდინარე, საგალობელთა აღდგენის ე.წ. კონტრაფაქტურის (ერთი საგალობლის მუსიკალურ ტექსტზე სხვა საგალობლის პოეტური ტექსტის განყოფილება) მეთოდია გამოყენებული. ზოგჯერ კი, ხდება ჩარევა საგალობლის პოეტურ-მუსიკალურ სტრუქტურაშიც (მაგალითად, „ტონ დესპოტინის“ ჩანაწერებში არსებული ერთი რეჩიტატიული „ის პოლა“-ს ნაცვლად სამია საჭირო და ა.შ.).

ცხადია, ყველა ასეთი შემთხვევა კომენტირებულია შესრულებული სამუშაოს დეტალებითა და გამოყენებული მუსიკალური მასალის მითითებით.

ანთოლოგია „ქართული გალობა“ განკუთვნილია როგორც ქართველი, ასევე, არაქართველი მუსიკოსებისა და მკვლევარებისათვის — საგალობელთა სიტყვიერი ტექსტები მოცემულია როგორც ქართული ანბანით, ისე საერთაშორისო ტრანსკრიფციით, ხოლო საგალობელთა სათაურები, კომენტარები, შესავალი და კვლევითი ხასიათის ტექსტები ქართულ-ინგლისურ ენებზეა დაბეჭდილი.

აღნიშნული გარემოებები განაპირობებენ მთლიანად ანთოლოგიისა და მისი თითოეული ტომის ფორმას, მოცულობას, მათში შესულ საგალობელთა საბოლოო სახესა და რაოდენობას.

## ქართული გალობის სანოტო ჩანაწერთა წყაროები<sup>1</sup>

დღეისათვის ქართული საგალობლების სანოტო ჩანაწერები შემონახული გვაქვს შემდეგ გამოცემულ თუ ხელნაწერ კრებულებში, საცავებში/ფონდებსა და წყაროებში:

### 1. XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე გამოცემული კრებულები:

#### ა) ფილიმონ ქორიძის მიერ გამოცემული სანოტო კრებულები:

1. ქართული გალობა: ლიტურგია იოანე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1 // ტფილისი : მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895.

2. მიცვალებულის საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899.

3. საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა და აშხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901.

4. აღდგომის საგალობელნი // პარტიტურა №4 // იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და მღვ. ივ. წერეთლისაგან // გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და გარდაც. ვ. გძელიძისა — ტფილისი, 1904.

5. გალობა : სადღესასწაულო განიცადებები // ტფილისი : მსწრაფლმბეჭდავი სტამბა „ძმობისა“, 1908.

<sup>1</sup> ქართული გალობის წყაროთა ჩამონათვალის მომზადებისას, ძირითადად დავეყრდენით ორ წყაროს: „ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა (საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)“ (შულღიაშვილი, 2014), და „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“ (გვახარია, შულღიაშვილი, რაზმაძე, 2013).

6. სადღესასწაულო საგალობელი ნირვისა : (პარტიტურა №5) // ყოვლად სამღვდელთა ეპისკოპოს გაბრიელის განკარგულებით ნოტებზე დაწერილი // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მღვ. რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. ნერეთლისაგან // გამოცემა ე. ს. კერესელიძისა, ტფილისი, 1911.

**ბ) სტეფანე (ვასილ), პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილების მიერ გამოცემული სანოტო კრებულები:**

1. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ : „მწუხრი“ // ნოტებზე გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // I ნაწილი // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1897.

2. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ : „ცისკარი“ // ნოტებზე გადაღებული და საკუთრებით დაბეჭდილი მღ. ვასილ გრიგ. ძის კარბელოვის მიერ // II ნაწილი // ტფილისი : ტიპოგრაფია „ცნობის ფურცელი, 1898.

3. ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი) : (ლიტურდია) : წმ. იოანე ოქროპირის ნირვის ნესი // მიხეილ მიხეილის ძის იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადაღებული და დაწერილი მღ.მღ. ძმათა პოლ. და ვას. კარბელაშვილთა, ალ. მოლოდინაშვილის და გრ. მღებრიშვილის დახმარებითა; დედანზედ გამართვა-შესწორებით მღ. ვასილ გრიგოლის ძის კარბელაშვილისათა // გამოც. ალექსანდრე ეპისკოპოსის, ან გურია-სამეგრელოს მწყემსთ-მთავრის წარსაგებელითა // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1899.

4. საგალობელი შობის დღესასწაულისა : რვეული ა // გადაღებული მღ. ფილიმონ კარბელაშვილის მიერ // გამოცემა მღ. მღ. პ. კარბელოვისა და ა. მოლოდინოვისა // თბილისი : სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, 1899.

5. ერთხმიანი ქართული საეკლესიო გალობა : „მწუხრი“ // ნოტებზე გადაღებული მღ. ფილიმონ კარბელაშვილის მიერ // რედაქცია მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილისა // ტფილისი, 1907.

**გ) რაჟდენ ხუნდაძის მიერ გამოცემული სანოტო კრებულები:**

1. ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ სადა კილოზე // წიგნი პირველი : პირველი ხმა (დანყება) ნირვის ნესი წმ. იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა და პირველ-შენიშნულისა // გადაღებული ნოტებზე მღვდლის რ. ხუნდაძის მიერ. წინასიტყვაობა: მ. კელენჯერიძე // ქუთაისი : გამოცემული იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების და ეკლესიების საფასით, 1902.

2. ქართული გალობა : ლიტურდია იოანე ოქროპირისა, ბასილი დიდისა და გრიგორი ღვთის-მეტყველისა : პარტიტურა // ნოტებზე გადაღებული მღვდლის რაჟდენ თ. ხუნდაძის მიერ გურულ-იმერულ სადა კილოზე // ტფილისი : გამოცემა ესტატე სოლომანის-ძის კერესელიძისა, 1911.

**დ) დიმიტრი არაყიშვილის მიერ გამოცემული საგალობლები, კრებულებში:**

1. Аракчиев, Дмитрий. Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской, народной песни. О грузинской духовной народной музыке, с приложением напевов на литургии св. Иоанна Златоустаго. Москва: Типография К. Л. Меньшова, 1905

2. Аракчиев, Дмитрий. (1916). Грузинское Народное Музыкальное Творчество. (Народная песня Восточной Грузии). С приложением 225 песен в народной гармонизации и 39 инструментальных мелодий. Москва. Оттиски из В т. «Трудов Музыкально-Этнографической Комиссии» (МЭК) при Московском университете. Типография Г. Лиснера и Д. Собко, 1916

## **II. ხელნაწერები:**

1. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი სანოტო კრებულები (16 ათასზე მეტი გვერდი): ხელნაწერები H154-I—H154-IX; ხელნაწერები Q665—Q694, Q833, Q1475.

2. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილის ხელნაწერები (2 ათასზე მეტი გვერდი):

კარბელაშვილი ვასილ, სანოტო ხელნაწერთა ფონდი. კარბელაშვილის პირადი ფონდი №264.

3. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მიხეილ ელიზბარაშვილის ხელნაწერი კრებული (150 გვერდამდე):

Q1436 „ქართული გალობა. ლიტურგია იოანე ოქროპირისა, მღვდლისა და მღვდელთმთავართათვის — გადაწერილი მიხეილ პ. ელიზბარაშვილის მიერ. თბილისი 1896 წელი“.

4. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დავით ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერები (200 გვერდამდე):

ფონდი „სხვადასხვა“ №50-53. ქართული საეკლესიო საგალობლები იოანე ოქროპირისა, ნოტებზე გადაღებული დავით სოლომონის ძე ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ. 1863 წელი.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული პოლიევქტოს და ფილიმონ კარბელაშვილების და მათი მოსწავლეების ხელნაწერები (1 700 გვერდამდე):

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივი № 1461. №№188-218 საქმეები.

6. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერები (2 ათას გვერდამდე):

რაჟდენ ხუნდაძე — პირადი არქივი, №2106.

რაჟდენ ხუნდაძე — პირადი არქივი, №2127.

7. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერები (200 გვერდამდე).

პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2099, 2110, 2111, 2112, 2113 ხელნაწერები; მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ძმები კარბელაშვილებისაგან (ან, სავარაუდოდ, პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან) ჩანერილი საგალობლები.

8. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში დაცული გრიგოლ ჩხიკვაძის ხელნაწერები (100 გვერდამდე):

პოლიევქტოს კარბელაშვილის არქივი, №2125, №2126 ხელნაწერები; გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ პოლიევქტოს კარბელაშვილისაგან ჩანერილი საგალობლები.

9. ლუარსაბ ტოგონიძის პირად არქივში დაცული დავით მოლოდინაშვილის ხელნაწერი კრებული (200 გვერდამდე):

„ქართული გალობა სამი ხმითა“ დავით მოლოდინაშვილი.

10. მონოზონ ნინო სამხარაძის მიერ მიკვლეული, მცხეთის სამთავროს ფერიცვალების სახელობის დედათა მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერები (20 გვერდამდე).

### **III. შემოქმედის სკოლის მგალობლების (არტემ ერქომაიშვილი, დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი) აუდიო ჩანაწერების ნოტირების საფუძველზე XX-XXI საუკუნეებში გამოცემული კრებულები:**

1. ქართული გალობა (იმერულ-გურული კილო). ჩანერილი და ნოტებზე გადაღებული კახი როსებაშვილის მიერ. თბილისი: სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება, 1968.

2. ქართული გალობა (გურული კილო). ჩაინერა და ნოტებზე გადაიღო კახი როსებაშვილმა. თბილისი: სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება, 1976.

3. ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით — ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დ. შულღიაშვილმა. თბილისი, 2002.

4. „თერთმეტი მარგალიტი“. დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი — საარქივო ჩანაწერი (1949) — ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შულღიაშვილმა — თბილისი, 2004 წელი

5. ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით — ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დ. შულღიაშვილმა — II გამოცემა. თბილისი, 2006.

6. ქართული ხალხური მუსიკა. გურია. არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული. ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი. თბილისი, 2005.

7. ქართული საეკლესიო და სალხინო საგალობლები (გურული კილო). გადმოცემული დიმიტრი პატარავას მიერ; ნოტებზე გადაიღო მამია პარატავამ // მუსიკალური რედაქტორი მალხაზ ერქვანიძე // თბილისი, 2003.

**ჩვენ მიზნად ვისახავთ, მთელი ეს მასალა — ძველი ქართული პროფესიული მუსიკის გამოცემული თუ ხელნაწერების სახით შემორჩენილი ნიმუშები, სრულად შევიტანოთ ქართული გალობის სანოტო ანთოლოგიაში.**

უკვე გამოცემული საგალობლების ანთოლოგიაში შეტანის მიზეზს განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, თავად ანთოლოგიის „უანრის“ თავისებურება. გარდა ამისა, XIX-XX საუკუნეების გასაყარზე გამოცემული კრებულები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და მათი ყოველი რე-პუბლიკაცია, თავისთავად, მნიშვნელოვანი და საჭირო საქმეა.

ზემოჩამოთვლილის გარდა, ცალკეული საგალობლების, შედარებით მცირე რაოდენობის სანოტო და აუდიო ჩანაწერები გვხვდება XX საუკუნეში გამოცემულ სანოტო კრებულებში და ფოლკლორული ანსამბლების/შემსრულებლების აუდიო ჩანაწერთა გამოცემებში (ვინილის ფირფიტები, CD-ები) და აუდიო არქივებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასეთი არქივები დაცულია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში; საზოგადოებრივი მაუწყებლის (რადიოს) ოქროს ფონდში; რუსეთში, პეტერბურგის ა. პუშკინის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის არქივში...

ანთოლოგიის ფარგლებში ამ მასალის ნოტირება და პუბლიკაცია დაგეგმილი.



ანთოლოგიაში არ შეგვაქვს ტრადიციულ საგალობელთა კომპოზიტორების მიერ დამუშავებული ჩანაწერები და, აგრეთვე, XIX საუკუნეში დაფიქსირებული საგალობელთა ისეთი ვარიანტები, რომლებიც თავად ტრადიციის მატარებლებმა დაინუნეს — როგორც მათი ტრადიციის დამახინჯებული, ქართული გალობის მუსიკალური ენა-აზროვნებისა და ესთეტიკისათვის შეუფერებელი ნიმუშები.

ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება ანდრია ბენაშვილის ხელნაწერი თუ გამოცემული საგალობლები, რომლებსაც ძმები კარბელაშვილები უკიდურესად კრიტიკულ შეფასებას აძლევდნენ და რომელთა ზედაპირული შესწავლითაც კი ცხადი ხდება, რომ ისინი „კარბელაანთ“ ტრადიციის საგალობლების გამარტივებულ ნიმუშებს წარმოადგენენ. ქართული გალობისათვის არატიპური, სამხმოვანებით დამთავრებული კადანსების სიჭარბე და ბანში ტონალური მუსიკისათვის დამახასიათებელი კვარტა-კვინტური ნახტომების გამოჩენა, ააშკარავებს კარბელაშვილთა კრიტიკის სამართლიანობას. ასეა თუ ისე, ეს საკითხი ღრმა კვლევას მოელის. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ ამ საგალობლების სანოტო ჩანაწერები ბენაშვილის მიერ გამოცემულ კრებულში „ქართული ხმები: საეკლესიო გალობა წმ. იოანე ოქროპირის ნირვის წესისა. ქართლ-კახეთის კილოზედ“ — ტფილისი, 1885 და ანდრია ბენაშვილის ხელნაწერ კრებულში Q1287 — „ქართული გალობა, წმიდა იოანე ოქროპირისა“, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

ბენაშვილის მიერ გადაკეთებული საგალობლების მსგავსია, დ. შულღიაშვილის პირად კოლექციაში დაცული, დავით კუჭაიძის ხელნაწერ კრებულში „Партитура Грузинских напевов“ მოცემული სხვადასხვა საღვთისმსახურო განგებების საგალობლები. მათ I ხმაში ტრადიციული სამგალობლო ინტონაციებია, ფაქტურა შერეული 4-6 ხმიანი გუნდისთვისაა გადაკეთებული, ჰარმონია კი, ტონალურია, რომელსაც აშკარად ამჩნევია რუსული პარტესული გალობის გავლენა.

#### **ქართველ კომპოზიტორთა მიერ დამუშავებული „კარბელაანთ“ ტრადიციის საგალობლებია:**

1. სულხანიშვილი ნიკო — ქართული საეკლესიო მუსიკა. ცისკარი. „ღმერთი უფალი“ I ხმა. შემოკლებული კილო მრავალ ხმაზედ, 3 და 1 ხმ. — თბილისი, 1912.

2. ფალიაშვილი ზაქარია — ქართული (ქართლ-კახური კილო) საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის ნირვის წესისა. ქალთა და ვაჟთა გუნდისათვის ხმა შეწყობილი ზაქ. პ. ფალიაშვილის მიერ — ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების გამოცემა, 1909.

როგორც ცნობილია, ამ კრებულში შესულია ზ. ფალიაშვილის მიერ შერეული გუნდისათვის თავისუფლად არანჟირებული „კარბელაშვილთა კილოს“ საგალობლები. ავტორის მითითებით, „სურვილის“ შემთხვევაში დასაშვებია შერეული გუნდის პარტიტურიდან საგალობელთა სამხმიანი ორიგინალების „ამოღება“ და შესრულება. ფალიაშვილისეული სამხმიანი ვარიანტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ კომპოზიტორს ისინიც შეუცვლია და დაუმუშავებია.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული გალობის მცოდნეთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა საგალობლების ფალიაშვილისეული ვარიანტების შესახებ. ტრადიციული მუსიკის მკვლევართა შორის არც დღესაა ერთგვაროვანი დამოკიდებულება მათ მიმართ, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — გენიალური კომპოზიტორის მიერ დამუშავებული საგალობლები (როგორც სამ-, ასევე, მეტხმიანი ვარიანტები) მაღალი მხატვრული და სულიერი ღირებულებით გამოირჩევიან.

**სადღეისოდ, ქართული გალობის მხოლოდ ეს წყაროებია ცნობილი. ამ წყაროებში დაცული საგალობელთა რიცხოვნება (14 ათასამდე)<sup>2</sup> შთამბეჭდავია. შესაბამისად, ჩვენი ანთოლოგიისა და მისი გამოცემისათვის ჩასატარებელი სამუშაოს მასშტაბებიც საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანია.**

## **ანთოლოგიაში გამოყენებული ძირითადი შემოკლებები და ტერმინები**

ანთოლოგიაში გამოყენებული ძირითადი შემოკლებები საგალობელთა ჩამწერების წოდებებსა და სანოტო კრებულების დასათაურებებს შეეხება:

წმინდანად შერაცხულ პირებს არ ვიხსენიებთ მათი კანონიზებული წოდებებით, არც სასულიერო პირებს მათი სრული ტიტულატურით, არამედ, ისე, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული:

წმიდა ფილიმონ მგალობელს, ერისათვის თავდადებულს, ვიხსენიებთ, როგორც „ფილიმონ ქორიძე“ ან „ფ. ქორიძე“.

<sup>2</sup> ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ფონდის „ქართული გალობა“ ერთობლივმა პროექტმა, რომლის შედეგადაც განხორციელდა საგალობელთა ხელნაწერების დიგიტალიზება და მათი ატვირთვა საგანგებო საიტზე (აღწერილობითა და საძიებო სისტემით), შესაძლებელი გახდა საგალობელთა მანამდე ცნობილი რიცხოვნების დაზუსტება (მიღებული იყო, რომ 10 ათასამდე საგალობელია არქივებში). წინამდებარე ანთოლოგიის გამოცემა, მხოლოდ საგალობელთა ხელნაწერების დიგიტალიზების შედეგად გახდა შესაძლებელი.

წმიდა აღმსარებელს, ეპისკოპოს სტეფანე კარბელაშვილს ვისხენიებთ, როგორც „ეპისკოპოს სტეფანეს“ ან „მეუფე სტეფანეს“, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მის არქივსა თუ გამოცემებზე ვსაუბრობთ, მოვიხსენიებთ, როგორც ვასილს (ეპისკოპოსად კურთხევამდელი სახელით), რადგანაც ეს კრებულები სამეცნიერო მიმოქცევასა და ხელნაწერთა აღწერილობებში ვასილის სახელითაა დამკვიდრებული.

წმიდა აღმსარებელი, დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი, მოხსენიებულია, როგორც „დეკანოზი პოლიევქტოსი“ ან „მამა პოლიევქტოსი“.

წმიდა აღმსარებელი ექვთიმე, მოხსენიებულია როგორც „ექვთიმე კერესელიძე“, „ექვთიმე“ ან „მამა ექვთიმე“.

დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძე მოხსენიებულია, როგორც „რ. ხუნდაძე“.

ფ. ქორიძის, ძმები კარბელაშვილებისა და რ. ხუნდაძის მიერ გამოცემულ კრებულებს მოკლე სათაურებით მოვიხსენიებთ: ქორიძის „წირვა“, ან ქორიძის „ლიტურგია“ (ქორიძე, 1895), კარბელაშვილთა „მწუხრი“ (კარბელაშვილი, 1897), კარბელაშვილთა „ცისკარი“ (კარბელაშვილი, 1898), კარბელაშვილთა „წირვა“ (კარბელაშვილი, 1899), ხუნდაძის „წირვა“ (ხუნდაძე, 1902, ხუნდაძე 1911) და ა.შ.<sup>3</sup>

ანთოლოგიის კრებულებში ტერმინ „საგალობლის“ სინონიმად ვიყენებთ ტერმინს „ჰიმნი“, რადგანაც, დღეისათვის, ლიტურგიკულ მუსიკაში ნაშლილია მკაფიო ზღვარი „ჰიმნს“, ფსალმუნსა, თუ წირვის (ასევე, სხვა) განგებათა ძირითად საგალობლებს შორის, თუმცა ადრე-ქრისტიანულ ხანაში ტერმინ „ჰიმნს“ კონკრეტული ჟანრული შინაარსი ჰქონდა (Герцман, 1988:21, Скабалланович, 2008:58).

ანთოლოგიაში, ჰარმონიასთან დაკავშირებულ ტერმინებს ვიყენებთ ჰარმონიის აკადემიურ თეორიაში დამკვიდრებული სახითა და მნიშვნელობით, მათ შორისაა, კილოთა მიხრილობის აღმნიშვნელი ბერძნული წარმოშობის ტერმინები (მიქსოლიდიური, ეოლიური და ა.შ.), აგრეთვე, დამასრულებელი ბგერისა თუ თანაჟღერადობის შუა საუკუნეებისეული სახელწოდება „ფინალისი“ და ა.შ..

საეკლესიო მუსიკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში უკვე დამკვიდრებულია ძველი ქართული ტერმინები: მუხლი, საქცევი და ბრუნვა, რომლებიც საგალობლის ფორმის სინტაქსურ ერთეულებს აღნიშნავენ.

ქართველი მუსიკისმცოდნეები მოტივურ ან სუბმოტივურ, 2-4 წვრილი გრძლიობის მქონე ბგერით აგებულ უმცირეს სინტაქსურ ნაგებობას „ბრუნვას“ (ან ინტონაციურ ბრუნვას) უწოდებენ. ეს ტერმინი იმავე შინაარსისაა, როგორცაა ფორმის თეორიაში დამკვიდრებული ტერმინი მიკრომოტივი და ჩვენც ამ უკანასკნელს ბრუნვის სინონიმად ვიყენებთ.

ბრუნვებისაგან აგებულ შედარებით მსხვილ სტრუქტურულ ერთეულს ქართული გალობის მკვლევრები საქცევს (ინტონაციურ საქცევს, მელოდიურ საქცევს) უწოდებენ. საქცევი არაა დასრულებული მუსიკალური აზრის შემცველი, მაგრამ, მიკრომოტივებისგან (ბრუნვებისაგან) შემდგარ საქცევებს შორის მაინც შეიგრძნობა ცეზურა. სწორედ საქცევებს შორის ცეზურებია გამოყოფილი კარბელაშვილთა ჩანაწერებში სასვენი ნიშნებით — მძიმეებით. საქცევის პარალელურ ტერმინად ჩვენ მოტივი მიგვაჩნია.

მუხლი დასრულებული მუსიკალური აზრის შემცველი სინტაქსურ-სტრუქტურული ერთეულია. იგი საქცევებისაგან შედგება. მუხლები საკადანსო ნაგებობებით და ყველაზე მნიშვნელოვანი ცეზურებით არიან გამიჯნულნი. მოტივთა ანუ საქცევთა ერთობლიობას (რომელიც ყოველთვის არ გამოხატავს დასრულებულ მუსიკალურ აზრს) ჩვენ ტერმინ ფრაზითაც აღვნიშნავთ. დასრულებული მუსიკალური აზრის შემდგომი ცეზურის აღსანიშნად გამოყენებულია ტაქტის ხაზი. რა თქმა უნდა, აქ ტაქტის ხაზს დაკარგული აქვს მისი მნიშვნელობა — რეგულარულად (ან ირეგულარულად) განმეორებადი მეტრული საზომის საზღვრების მაჩვენებლისა.

## საგალობლის ფორმის სინტაქსურ ერთეულთა და ცეზურების სანოტო ჩანაწერებში ასახვისა და მათი საშემსრულებლო ინტერპრეტაციის შესახებ

როგორც ნებისმიერ მუსიკალურ ფორმაში, ქართულ საგალობელშიც სინტაქსური ნაგებობის მასშტაბური მოცულობა არარეგლამენტირებულია.

ფორმის სინტაქსურ ერთეულებს (ბრუნვა, საქცევი, მუხლი//მიკრომოტივი, მოტივი, ფრაზა) მუსიკოლოგიაში ტრადიციულ ინტონაციურ ან მელოდიურ ფორმულებს, ფორმულა-მოდელსა თუ მოდუსებსაც უწოდებენ. ძველი მუსიკის, მათ შორის, ქართული საგალობლის ქმნადობა სწორედ ამ ფორმულა-მოდელებით ოპერირების კომპოზიციურ პრინციპს ემყარება.

<sup>3</sup> ამ კრებულების სრული დასახელება მოცემული გვაქვს წინა ქვეთავში.

სხვადასხვა სიდიდის ტრადიციული მელოდიური ფორმულები შეადგენდნენ ქართული გალობის ინტონაციურ ფონდს, საიდანაც „ზეპირი გალობის“ პირობებში „იკინძებოდა“ მრავალხმიანი საგალობელი. ქართულ მუსიკოლოგიაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად, ნევმური დამწერლობითა და ჭრელების სისტემით, სწორედ სხვადასხვა სიდიდის სინტაქსური ნაგებობები, ტრადიციული ფორმულები გამოიხატებოდა. საქართველოში, გვიან საუკუნეებში მაინც, ამ ინტონაციურ მოდელებს სასწავლო დანიშნულებაც ჰქონდათ — მათ ზეპირად სწავლობდნენ და მათი ინტონაციების შეხამებით „კინძავდნენ“ უკვე ნასწავლ, თუ ახალ საგალობლებს. ვარაუდობენ, რომ ამ მოდულებს, რვა ხმის სისტემაში ესთეტიკური, სიმბოლური და ემოციური სემანტიკაც გააჩნდათ (ოსიტაშვილი, 1983; სუხიაშვილი, 2004; მანაგაძე, 2006).

საგალობელთა ფორმის ასახვის თვალსაზრისით, იდეალურად შეიძლება მივიჩნიოთ კარბელაშვილთა ჩანაწერები. მათში პრინციპად აღებულია, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისა და რუსული საეკლესიო მუსიკის ნოტირებისათვის დამახასიათებელი, თავისუფალი მეტრითა და რიტმით ჩანერა.

კარბელაშვილთა ჩანაწერებში, საგალობლის ჰანგისა და ფორმის შემადგენელ უმსხვილეს, დასრულებული მუსიკალური აზრის მქონე სინტაქსურ-სტრუქტურულ ერთეულებს — მუხლებს შორის ცეზურების აღსანიშნავად ტაქტის ხაზია გამოყენებული. მუხლის შიგნით ცეზურები კი მძიმეებით არის მონიშნული. ეს ცეზურები მუხლის შემადგენელ ფორმულა-მოდულებს — მოტივურ ნაგებობებს, საქცევებს მიჯნავს ერთმანეთისაგან. ხელნაწერებში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევებიც, როდესაც მუხლის დასრულება ერთდროულად მძიმითა და ტაქტის ხაზით აღინიშნება. მსგავსად არის ნოტირებული ცეზურები დ. მოლოდინაშვილისა და მ. ელიზბარაშვილის ჩანაწერებშიც.

ქორიძე-კერესელიძის ჩანაწერებში, საგალობლები ნოტირებულია რეგულარული მეტრული საზომით, ამასთან, მათ ჩანაწერებში მუსიკალური აზრის დასრულების აღმნიშვნელ ფუნქციას ფერმატა ასრულებს — განსხვავებით კარბელაშვილთა ჩანაწერების მძიმეებისა და ტაქტის ხაზის ნიშნებისაგან.

დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის, მ. იპოლიტოვ-ივანოვის, დ. არაყიშვილისა და გრ. ჩხიკვაძის მიერაც საგალობლები რეგულარული მეტრულის საზომითაა ჩანერილი. ცეზურებს კი მათთან ხან ფერმატა, არაყიშვილთან კი, ასევე, სუნთქვის საგანგებო ნიშანი აჩვენებს.

ბოლო ათწლეულებში სამივე სამგალობლო სკოლის საგალობლების ჩანერა-გამოცემისას (შემდგენელ-რედაქტორები კ. როსებაშვილი, მ. ერქვანიძე, დ. შულღიაშვილი, ლ. ვეშაპიძე) სინტაქსურ ერთეულთა შორის ცეზურების გადმოცემა კარბელაშვილთა პრინციპით ხდება — ყველაზე დიდი ზომის, დასრულებული მუსიკალური აზრის მქონე ერთეულების — მუხლების გამმიჯნავი ცეზურები ტაქტის ხაზით, ხოლო მუხლთა შემადგენელ შედარებით მცირე საქცევებს შორის ცეზურები კი მძიმეებით (აღმოსავლეთ საქართველოს საგალობლებში), ან წყვეტილი ვერტიკალური ხაზით (დასავლეთ საქართველოს საგალობლებში) აღინიშნება. სწორედ ამ პრინციპითაა წარმოდგენილი საგალობელთა სინტაქსური დაყოფა წინამდებარე ანთოლოგიაშიც.

დავძენთ, რომ ქორიძე-კერესელიძისეულ საგალობლებში, წყვეტილი ხაზით, ასევე, გამოვყოფთ ისეთ ცეზურებს, სადაც არის მკვეთრად გამოხატული კადანსები, მაგრამ, პირველწყაროებში, ამ კადანსთა ფინალისებზე დასმული არაა ფერმატა. ამდენად, ჩანაწერთა მიხედვით, აქ შესაძლებელია როგორც დიდი ცეზურის შესრულება, მუსიკალური აზრის დამთავრება ფერმატათი, ასევე, პირიქით — ინტონაციური მდინარების განვითარება მხოლოდ მცირე ცეზურით, ან უბრალოდ სუნთქვით. ასეთ ადგილებზე, შემსრულებლებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ რა ფორმით, გამომსახველობის რა ხერხებით გამოხატონ ცეზურა, საზღვარი სინტაქსურ-კომპოზიციურ ნაგებობებს შორის.

ვფიქრობთ, რომ საგალობლის ინტონირებისას, მძიმეებით ან წყვეტილი ხაზებით აღნიშნულ ცეზურებთან შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო. ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია აღქმულ და შესრულებულ იქნეს, როგორც მკაფიო, მკვეთრი ცეზურა (ტენუტოს<sup>4</sup> ეფექტით), ზოგიერთი — შეიძლება აღქმული იქნას როგორც მხოლოდ სუნთქვის აღების ნიშანი, ზოგიერთი კი მხოლოდ შინაგანად უნდა იქნას გააზრებული და ინტონაციურ მდინარებაში ნაკლებად გამოიხატოს. ყოველი ასეთი შემთხვევა უშუალო მუსიკალურ კონტექსტიდან, ინტონირების ტემპიდან და საერთო ხასიათიდან გამომდინარე უნდა იყოს გააზრებული და შესრულებული მაგალობელთა მიერ; ამასთან, ზომიერების, ბუნებრივობისა და დამაჯერებლობის შეგრძნებით, საგალობლის ფორმის დანაწევრების გარეშე, ისე რომ არ დაირღვეს გალობის ტრადიციული საშემსრულებლო ესთეტიკის კანონზომიერებანი.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლურ ქართულ საგალობელთა ჩანაწერებსა და გამოცემებში საგალობლის მუხლის დასრულებას ფერმატა აღნიშნავს.

ფერმატას მნიშვნელობას „კარბელაშვილთა“ საგალობლების ჩანაწერებში სტეფანე კარბელაშვილი ასე ხსნის: „რომელს ნოტებსაც უზის თავზედ ეს ნიშანი (ფერმატა): თუ გალობაშია დაბოლოებაზე ადრემდის, იმას ჰნიშნავს, რომ პირველმა და მესამემ უნდა გააგრძელონ, ვიდრე მეორე მორჩება თვისს ღილაონს (ვარიაციას); თუ ბოლოშია, მაშინ გათავების ნიშანია — დასასრულია“ (კარბელაშვილი, 1899:III).

<sup>4</sup> ტენუტო (tenuto) — იტალიურად ნიშნავს „დაჭერას“.



უმრავლეს შემთხვევაში, მუხლი დასრულებული მუსიკალური აზრია და მთავრდება უნისონით ან კვინტით. ზოგჯერ მუხლის ან მთელი საგალობლის ფინალისი ოქტავაც შეიძლება იყოს.

ანთოლოგიაში საგალობელთა პუბლიცირებისას ჩვენ არ ვცვლით შიდა მუხლების ფინალისთა გრძლიობებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. სვეტიცხოვლის სკოლის საგალობელთა უმრავლესობაში), საბოლოო ფინალისები მთელი გრძლიობით დავებქდეთ (წყაროებში ამ საგალობელთა დამასრულებელი ფინალისების გრძლიობა, ძირითადად, ხან ნახევარია, ხან მთელი).

საგალობელთა ჩანაწერებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც საგალობლის შიდა მუხლები სრულდება სხვა რომელიმე კონსონანსური ან დისონანსური თანაჟღერადობით. ასეთ საკადანსო ნაგებობებში ინტონაციური მდინარების ჰარმონიული და პოლიფონიური გამძაფრება ხდება. უმეტესად, ასეთი სტრუქტურები დამაკავშირებელი ნაგებობის ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ინტონაციური მდინარების დამთავრებისა.

ჩვენი აზრით, ასეთ მუხლებში, მაგალობლებმა, რეგენტმა თუ გუნდის დირიჟორმა ყოველი კონკრეტული შემთხვევა საკუთარი გემოვნებისა და შეხედულებისამებრ უნდა შეასრულონ. ზემო აღწერილ საკადანსო ნაგებობებში დასაშვებია, როგორც ინტონაციური მდინარების შეჩერება ფერმატათი და სუნთქვის აღებით, ასევე, უფრო ნაკლები სიმძაფრის ცეზურის შესრულებაც — ტენუტო და სუნთქვის აღება, ან მხოლოდ სუნთქვის აღება. ზოგიერთ მათგანში კი შესაძლებელია ცეზურის მხოლოდ შინაგანი აღქმა-გააზრება და მისი მკვეთრი „გარეგნული“ გამოვლინების გარეშე შესრულება — ლუფტპაუზით<sup>5</sup> ან მის გარეშეც, გადაბმულად.

ასევე, მიგვაჩნია, რომ მკვეთრად გამოხატული ცეზურაც — ტრადიციული და კონსონანსური ფინალისებით მუხლების დაბოლოებისას აღნიშნული ფერმატა და ტენუტო უნდა შესრულდეს მაგალობელთა სურვილისა და გემოვნებისამებრ. მხოლოდ, აქაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მუსიკალური და ლიტურგიკული კონტექსტი, საგალობლის ტემპი და განწყობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანთოლოგიაში ფერმატები გამონერილი გვაქვს მხოლოდ საგალობელთა საბოლოო ფინალისებზე და იქ, სადაც ისინი ჭეშმარიტ მნიშვნელობას (ბგერის ან თანაჟღერადობის დიდ მანძილზე გაგრძელებას) ატარებენ თავად ხელნაწერის ავტორთა ან გამომცემელთა ჩანაწერებში.

საგალობლის მრავალხმიანი ქსოვილი გამოირჩევა ფართო სუნთქვის დენადი ბუნებით, რომლის ქმნალობაშიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმპროვიზაციულ-ვარიანტული საწყისი. ამის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ საგალობლის შესრულებისას მაგალობელი შინაგანად თავისუფალი უნდა იყოს. გალობის შემსრულებლობის ძირითად მუსიკალურ-ტექნოლოგიურ და მხატვრულ მომენტად მიგვაჩნია ძალდაუტანებელი და კანტილენური დენადობა. ამასთან, იგი არ უნდა გამოდიოდეს ტრადიციული ქართული მუსიკალური აზროვნებისა და ესთეტიკის ფარგლებიდან. ჩვენი აზრით, ამ შემოქმედებით პარადიგმაში უნდა იქნას გააზრებული სხვადასხვა სიმძაფრის და მნიშვნელობის ცეზურებიც, მათი აღქმა-შემსრულებლობაც.

ზოგჯერ, საგალობელთა მუხლებს შორის კადანსებში, ან საქცევთა შორის ცეზურებში, იმ შემთხვევებში, როდესაც ცეზურის წინა და შემდეგ თანაჟღერადობებში ბანს ერთი და იგივე ბგერა აქვს, ჩვენ ბანის ბგერებს შორის წყვეტილი, ან ჩვეულებრივი ლიგა გვაქვს დასმული; ძირითადად, იმ შემთხვევებში, როცა სიტყვა მუსიკალური ცეზურებითაა გაყოფილი. ამ დროს, მაგალობლების სურვილის შემთხვევაში, დასაშვებად მიგვაჩნია ბანის გაბმული (ბურდონივით) აჟღერება და მის ფონზე ცეზურის შესრულება, ან სუნთქვის აღება ზედა ხმების მიერ. ამასთან, პრაქტიკაში ანჩისხატის გუნდის მიერ დანერგილი და თანამედროვეთაგან მიღებული ამ საშემსრულებლო ხერხის შესახებ, თითქმის არ ჩანს მინიშნებანი XIX-XX საუკუნეთა სამგალობლო ხელნაწერებსა და გამოცემებში. მიგვაჩნია, რომ მსგავსი ხერხები ზომიერად, მხატვრულად გამართლებულად უნდა გამოვიყენოთ და წესად არ უნდა ვაქციოთ.

ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერებისა თუ გამოცემებისაგან განსხვავებით, „კარბელაანთ“ გალობის ჩანაწერებში მეტად იშვიათი, ერთეული შემთხვევებია, როდესაც საგალობელი ჩანერილია რეგულარული მეტრული საზომით და ჩასმულია ტაქტებში. ამ მხრივ გამორჩეულია, დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვისა და მ. იპოლიტოვ-ივანოვის ჩანაწერები, ასევე, გრ. ჩხიკვაძის მიერ პ. კარბელაშვილისაგან ჩანერილი საგალობლები, რომლებიც ტაქტებით არის ჩანერილი. ქორიძე-კერესელიძის მსგავსი ჩანაწერების დარად, საგალობლების ასეთი ჩანერაც პირობით ხასიათს ატარებს და მას კომპოზიციურ-სინტაქსურ დანაწევრებისათვის თუ ინტონაციურ-რიტმული მოძრაობისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. შესაბამისად, ანთოლოგიაში ასეთ ჩანაწერებს, სხვა საგალობელთა მსგავსად, რეგულირებულ-განმეორებადი მეტრული ზომისა და ტაქტების გარეშე, თავისუფალი მეტრით ვებქდავთ.

<sup>5</sup> ლუფტპაუზა (luftpause) — მუსიკალური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მოკლე, უმნიშვნელო სუნთქვის აღებას.



## საგასაღებო და არასაგასაღებო ალტერაციის ნიშნებისა და საგალობლის კილო-ჰარმონიული ასპექტის რედაქტირების პრინციპები

ცნობილია (შულღიაშვილი, 1991:125), რომ დასავლეთ საქართველოს საგალობელთა ხელნაწერებში, რიგ შემთხვევებში, „საჭირო“ ხდება საგასაღებო და არასაგასაღებო ალტერაციის ნიშნების შეცვლა, ვინაიდან ამის გარეშე მათში ქართული ტრადიციული მუსიკისათვის არატიპურ ინტონაციებს ვიღებთ. მაგალითად, ზოგჯერ მუსიკალური აზრი მთავრდება არამყარი ინტერვალებით, ნაცვლად მოდალური აზროვნებისათვის ჩვეული კვინტის, უნისონისა და ოქტავისა, ან კიდევ, გვხვდება მოდალური ჰარმონიისათვის არატიპური ქრომატიზმები.

ამიტომ, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ამ საგალობელთა შესრულებისას თუ რედაქტირებისას, მკვლევრები/ლოტბარები თავს უფლებას ვაძლევთ, შევცვალოთ („ჩავასწოროთ“) ალტერაციის ნიშნები, რაც უკვე, ერთგვარ აუცილებელ წესადაც კი იქცა. ამასთან, სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში, გამოცემულ სანოტო კრებულებში საერთოდ არაა მითითებული, რა ხასიათის ცვლილებებია შეტანილი პირველწყაროში, რომ არაფერი ვთქვათ ამდაგვარი ცვლილებების საჭიროების დასაბუთებაზე.

მსგავსი რედაქტორული ჩარევა იშვიათად ხდება ხოლმე საჭირო ქართლ-კახურ საგალობლებში, რადგან მათ ხელნაწერებში ჰიმნების მუსიკალური ენის მრავალი და მათ შორის — ჰარმონიული ასპექტი მონესრიგებულად, ცხადადაა გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ ანთოლოგიაში გამოყენებულ აუთენტურ ნოტირებულ მასალაში არაერთგზის გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ჰიმნი, ან ფორმის ცალკეული სინტაქსური ერთეული სხვადასხვა საგასაღებო ნიშნით, სხვადასხვა კილოური ელფერით არის ნოტირებული.

ჩვენი აზრით, ეს არის ტრადიციული აზროვნების ფარგლებში გალობის შემსრულებლობისათვის დამახასიათებელი იმპროვიზაციულობისა და ხმების ინტონაციურ-პოლიფონიური აქტივობის შედეგი, რაც საგალობლებს კილოურ ფერადოვნებასა და ჰარმონიულ მრავალფეროვნებას სძენს.

ასეთ შემთხვევებში რედაქტირების მეცნიერულად გამართლებულ პრინციპად მიგვაჩნია, საგალობლის ინტონაციის შესაბამისობა მოდალური აზროვნებისა და სამგალობლო ესთეტიკის ტრადიციულ ნორმებთან, რის გამოც განსხვავებული ალტერაციის ნიშნებით, ანუ განსხვავებული ჰარმონიით გადმოცემული ფრაგმენტები ორგანულად ეწერებიან მთელი საგალობლის ტრადიციულ უღერადობაში.

ამასთან, არც თუ იშვიათად, წყაროებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საგალობელთა ნოტირებისას გათვალისწინებული არ არის ქართული პოლიფონიისათვის დამახასიათებელი მოდალურ-დიატონური კილოური სისტემის თავისებურებები. მაგალითად, თუ საგალობლის მუხლის ან მთლიანი საგალობლის ფინალისი კვინტის ნაცვლად ტრიტონია, ან თუკი საგალობლის ჩანაწერში წარმოიშვება ქრომატიზმი, რაც არღვევს მოდალური კილოური აზროვნებისათვის დამახასიათებელ დიატონურობას, ცხადია, აუცილებლად მივიჩნევთ ალტერაციის ნიშანთა კორექტირებასა თუ რედაქტირებას. მსგავსი არანორმატიულობა ნაკლებად ახასიათებს საგალობელთა კარბელაშვილების ჩანაწერებს და უფრო ხშირად, ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებში გვხვდება.

მრავალხმიანი, ზეპირ-იმპროვიზაციული და არა-ტემპერირებული წყობის საგალობლების სხვადასხვა კილოური ელფერით ნოტირება, ფაქტობრივად, ტრადიციული მელოდიურ-მოტივური ნაგებობებისა და მათზე მიმართული მრავალხმიანი ნაგებობების სხვადასხვა ჰარმონიული შეფერილობით „აღმოჩენა“, რაც შესანიშნავად გადმოგვცემს ქართული გალობის ინტონაციურ და კილო-ჰარმონიულ სიმდიდრეს. ჩვენი მიზანია ამ სიმდიდრის სრულყოფილად ჩვენება. შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია, რედაქტირებისას, მსგავსი მელოდიურ-ფაქტურული ნაგებობების სხვადასხვა ალტერაციის ნიშნებითა და კილოური კონფიგურაციით ჩანერა-გამოცემა, თუკი ამას განაპირობებს კონკრეტული ფაქტურულ-კომპოზიციური ერთეულების (საქცევი, ფრაზა, მუხლი...) წინა და შემდგომი ნაგებობების ალტერაციული ნიშნებისა და კილოს თავისებურებები, ანუ ინტონაციურ-ჰარმონიული კონტექსტი.

ამ მიზნით, ანთოლოგიის კრებულებში მრავლადაა დაბეჭდილი ფრჩხილებში ჩასმული, ალტერნატიული ალტერაციის ნიშნები. მათ ხშირად ახლავთ სქოლიოში შესაბამისი მითითებაც — თუ რომელი კონკრეტული ნიმუშის/ხელნაწერის მიხედვით, ან რა მიზეზით არის დასმული, საგალობლის ჰარმონიული კონფიგურირებისათვის დამახასიათებელი ვარიანტულობის წარმომჩენი ეს ალტერაციის ნიშნები.

ფრჩხილებში ნაბეჭდი ალტერაციის ნიშნების შესრულება მგალობლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული, *ad libitum*.

ალტერნატიული, ვარიანტული ალტერაციის ნიშნები რიგ შემთხვევებში მოცემულია სანოტო სტრიქონებში, უშუალოდ ნოტების ნინ, ხოლო რიგ შემთხვევებში კი, ნოტებს ზემოდან ან ქვემოდან. პირველ შემთხვევაში უფრო დასაშვებად მიგვაჩნია ალტერნატიული კილოური გადახრის არსებობა, მეორე სახის მაგალითებში კი, ნაკლებად სასურველად, მაგრამ, მაინც დასაშვებად.

თუკი მაგალობლები ფრჩხილებში ნაბეჭდ ნიშნებს შეასრულებენ, მაშინ ისინი, მოცემულ ფრაგმენტში ყველა ხმაში უნდა შესრულდეს, ვიდრე არ აღდგება საგასალებო ალტერაციის ნიშნების მოქმედება.

და ბოლოს, კიდევ ერთი განმარტება ალტერაციის ნიშნების აღნიშვნასთან დაკავშირებით: როგორც ცნობილია, არასაგასალებო ალტერაციის ნიშანი მოქმედებს მთელი ტაქტის მანძილზე, თუკი იგი სხვა ნიშნით არ გაბათილდა. ჩვენს ანთოლოგიაში საგალობლის სანოტო ჩანაწერში მუხლის დასასრული ტაქტის ხაზით აღინიშნება. ძალიან ხშირად, გრძელი მუხლი ორ ან რამდენიმე სანოტო სისტემაზეა დაბეჭდილი, შესაბამისად, მუხლის დასრულების აღნიშვნელი ტაქტის ხაზი დიდ მანძილზე არ გვხვდება. ასეთ შემთხვევებში, როდესაც საგალობლის მუხლი ერთი სანოტო სისტემიდან მეორეზე გრძელდება, ზედა/წინა სანოტო სისტემაში დასმულ არასაგასალებო ალტერაციის ნიშნებს, მეტი თვალსაჩინოებისთვის, აღვნიშნავთ ახალ სანოტო სისტემაშიც, მიუხედავად სანოტო მართლწერის ნორმებისა.

ანთოლოგიის კრებულების სქოლიოებში მითითებულია რედაქტორების მიერ ალტერაციის საგასალებო და არასაგასალებო ნიშნების აღნიშვნაში შეტანილი ყველა ცვლილება.

ნოტირება საგალობლის მუსიკალური ქსოვილის, ინტონაციის დაფიქსირების საშუალებაა. ვინაიდან, საგალობლებში არაა ტონალური მუსიკა (რომელსაც ნოტირების, მათ შორის, საგასალებო ალტერაციის ნიშნების გამოწერის უფრო სისტემური, წინასწარგანსაზღვრული პრინციპები გააჩნია), ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, საგასალებო ნიშნების ისე აღნიშვნა, რომ საგალობლის ინტონაციის დაფიქსირებაც და ამოკითხვა-შესრულებაც მოსახერხებელი გახდეს. ამიტომ ანთოლოგიაში გვხვდება ნიმუშები, სადაც:

- ბანის საგასალებო ნიშანთა რაოდენობა ერთით ნაკლებია (დეზებანი ბგერათრიგების შემთხვევაში) ან ერთით მეტია (ბემოლებიან ბგერათრიგებში);
- სამივე ხმაში იდენტური რაოდენობის საგასალებო ნიშნებია გამოწერილი;
- განაპირა ხმებში იდენტური რაოდენობის ნიშნებია, ხოლო შუა ხმაში — ერთით ნაკლები და ა.შ..

\* \* \*

საგალობლების ჰარმონიული კონფიგურაციის და კილოურ მოდულაციათა რედაქტირება-ინტერპრეტირება მეტად რთული პროცესია, ვინაიდან, ჩვენთვის სამუდამოდ მიუწვდომელია მრავალი ათასი ჰიმნის რეალური ჟღერადობა, მათი აუდიო ჩანაწერების არარსებობის გამო.

საგალობელთა სანოტო ჩანაწერებში კილოური ასპექტის რედაქტირების დღეს გავრცელებული პრინციპია — ერთი და იმავე მელოდიური ფორმულის (ან მისი ვარიანტების) ანალოგიური ალტერაციის ნიშნებით, იდენტური კილოური მიხრილობით გადმოცემა.

ამასთან, გალობის კილოური ორგანიზების თავისებურებად, თავად საგალობელთა პირველწყაროებში დაფიქსირებულ, ზემოთ აღწერილ ისეთი შემთხვევებსაც მივიჩნევთ, როდესაც ერთი არქეტიპული მოდელი სხვადასხვა კილოური კონფიგურაციითაა „განხორციელებული“ მრავალხმიანობაში.

შესაბამისად, საგალობელში საგასალებო და არასაგასალებო ალტერაციის ნიშნების რედაქტირებისას ორივე მიდგომა (მსგავსი მელოდიურ-ფაქტურული ნაგებობების იდენტური ან განსხვავებული ალტერაციის ნიშნებით „აღკაზმვა“) შესაძლებლად მიგვაჩნია. მხოლოდ, ჩვენი აზრით, ყველა შემთხვევაში, უმთავრესი კრიტერიუმი უნდა იყოს პირველწყაროს — ხელნაწერის, ძველი გამოცემის, ან, თუ მოგვეპოვება, აუდიოჩანაწერის, — ავტორიტეტი.

საგალობელთა თანამედროვე პუბლიკაციებშიც ხშირია, რედაქტორების მიერ სხვადასხვა საგასალებო ნიშნის გამოყენება ერთსა და იმავე ჰიმნი<sup>6</sup>, ან საგალობლის პირველწყაროსაგან განსხვავებული კილოური კონფიგურირება.

<sup>6</sup> მაგალითად, არტემ ერქომაიშვილისაგან ჩანერილი საგალობლების ნოტირების განსხვავებული ნიმუშები კ. როსებაშვილის, დ. შულღიაშვილისა და მ. ერქვანიძის გამოცემებსა (როსებაშვილი 1968, როსებაშვილი, 1976; შულღიაშვილი, 2006; ერქვანიძე 2008) და ანზორ ერქომაიშვილის ხელნაწერებში. ამასთან, ხშირად, თავად მ. ერქვანიძის გამოცემებში ან მისი რედაქტორობით გავრცელებულ ხელნაწერ კრებულებში ერთი და იმავე საგალობლების ჰარმონიული ასპექტი, გადმოცემული ალტერაციის ნიშნებით, სხვაობს ერთმანეთისაგან (მაგ. ქართლ-კახური საგალობლების ერქვანიძის რედაქტირებული გავრცელებული ხელნაწერი და ნაბეჭდი კრებულები; ასევე, ცნობილია საგალობლის „რაოდენთა ქრისტეს მიერ“ მის მიერ რედაქტირებული

## საგალობლის ხელნაწერში ჰარმონიული ასპექტის რედაქტირება-„რესტავრირებისას“

ვითვალისწინებთ ტრადიციული მუსიკალური ენისა და მისთვის იმანენტური მოდალური ჰარმონიის თავისებურებებს, რომელთა მიღმაც არ შეიძლება ჟღერდეს ჰიმნი (მაგ., დაუშვებელია ქრომატიზმი; ქრომატიული კილოები; მცირე სეკუნდა ან ტრიტონი საკადანსო თანაჟღერადობად და ა.შ.)<sup>7</sup>. ამასთან, ვინაიდან ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ამა თუ იმ ჰიმნის არქეტიპული, ინვარიანტული მოდელის „ზუსტი“ ჰარმონიული კონფიგურაცია, ქართული მუსიკალური ენის ფარგლებში, დასაშვებად მიგვაჩნია როგორც ერთი და იმავე ჰანგის იდენტური ალტერაციის ნიშნებითა და ჰარმონიული თავისებურებებით აჟღერება, ასევე, ზოგჯერ, ინტონაციური კონტექსტიდან გამომდინარე, საგალობლის ან მის ცალკეულ ფრაგმენტთა განსხვავებულ დიატონურ კილოებში წარმოჩენაც.

\* \* \*

დღევანდელ პრაქტიკაში გავრცელებულია საგალობლებში კილოური კონფიგურაციის რედაქტირების შემდეგი პრინციპებიც:

დასავლურ-ქართული საგალობლების სანოტო ჩანაწერებში ალტერაციის საგასაღებო და არასაგასაღებო ნიშანთა რედაქტირებისას, კვინტით დაბოლოებულ საკადანსო ნაგებობებში, თანამედროვე რედაქტორები „ასწორებენ“ (არ ტოვებენ) სანოტო ორიგინალებში არსებულ:

- ეოლიურის გარდა სხვა კილოებს ცენტრალური ტონიდან მინორული ტერციით (დორიული, ფრიგიული);
- მიქსოლიდიურის გარდა, ცენტრალური ტონიდან მაჟორული ტერციის შემცველ ისეთ კილოებს, როგორცაა ლიდიური ან იონიური.

დღეისათვის დასავლურ-ქართული საგალობლების თანამედროვე რედაქტორ-ინტერპრეტატორთა თუ მსმენელთა სმენითი აღქმისათვის „უცხო“ და არატიპურად ჟღერს, წყაროებში წარმოდგენილი, კვინტური კადანსების ამ კილოებში ინტონირება. სმენა, თითქოსდა, გადაეჩვია კვინტური საკადანსო ნაგებობების, მიქსოლიდიურისა და ეოლიურის გარდა, სხვა კილოებში „აღმოჩენას“.

ვფიქრობთ, ეს ფაქტი ანჩისხატის გუნდის საშემსრულებლო პრაქტიკითაცაა განპირობებული — დღეს ბევრი ქართველი მსმენელისა და, არც თუ იშვიათად, შემსრულებლისათვის, საგალობლის ინტონაციურ „ნორმატივს“, ძირითადად, ორი — ანჩისხატის გუნდისა და „რუსთავის“ სამგალობლო მანერა წარმოადგენს. ამასთან, მაგალობელთა უმრავლესობისათვის, სწორედ საგალობლის (და მათ შორის — სამგალობლო ჰარმონიის) ანჩისხატისეული ინტერპრეტაცია იქცა იდეალად, თავისებურ კანონად.

მაგალითად, „ანჩისხატელებს“ წლების წინ სანოტო ორიგინალების საგასაღებო ნიშნებით შესრულებული და ჩანერილი აქვთ ქორიძე-კერესელიძისეული „გამშვენებული“ „მხოლოდმობილი“ და პასექის IV ძლისპირი „საღმრთოსა სახმილავსა“, მაგრამ, შემდგომ, ეს ჰიმნები განსხვავებული კილოური კონფიგურაციით გამოსცეს, ჩანერეს და გაავრცელეს: საგალობელში „მხოლოდმობილი“ e ფრიგიულში კადანსები (კვინტით დაბოლოებული) შეცვალეს e მიქსოლიდიურით, f ლიდიური fis ეოლიურით; „საღმრთოსა სახმილავსა“-ში fis ეოლიური fis მიქსოლიდიურით და ა.შ.

გარდა ამისა, გელათის სკოლის საგალობლების აჟღერებისას ანჩისხატის გუნდმა სამგალობლო პრაქტიკაში აქტიურად შემოიტანა ტრიტონები, თუმცა ეს ინტერვალი თითქმის არცერთ საარქივო ჩანაწერში არ გვხვდება. ტრიტონის შემოტანა იყო ნოვაცია, რომელმაც, გარდა იმისა, რომ გადაჭრა ტრადიციული ქართული ინტონაციების ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა, მუსიკალურ ნიმუშს შესძინა მეტი ექსპრესიულობა და გამომსახველობა. თუმცაღა, აქვე დავძენთ, რომ ამის გამო საგალობლები ძირითადად აჟღერდა მიქსოლიდიურ, ეოლიურ და იონიურ კილოებში და შედარებით შემცირდა დორიული კილოს წილი, რომელიც ხშირად გვხვდება არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერებში და კარბელაშვილების მიერ დატოვებულ სანოტო მასალაში. სწორედ ამიტომ, ანთოლოგიის კრებულებში ანჩისხატის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის (იგულისხმება ტრიტონების გამოყენება) ალტერნატივის სახით, ზოგიერთ ნოტს ფრჩხილებში მივუწერეთ ალტერაციის არასაგასაღებო ნიშნები, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც საგალობელი აჟღერდება დორიულ კილოში. ამის გამო ზოგან ნახევარტონიანი სვლების გამოყენებაც მოგვინია (ძირითადად შუა ხმაში, შედარებით ნაკლებად ბანში), რაც, ასევე, გვხვდება ხოლმე არტემისეულ თუ კარბელაშვილთა საგალობლებში.

აქვე განვმარტავთ, რატომ დორიული და არა სხვა კილო. თანაბარდაშორებული ბგერათრიგის თეორიის (ლ. ვეშაპიძე, ზ. ნერეთელი, 2014:281—287) მიხედვით, ტერცია და სექსტა არის

გამოცემული ვარიანტებისა (ერქვანიძე 2002; 2006) და აუდიო-ჩანაწერის (ერქვანიძე, 2010), ასევე, „და ვითარცა“-ს სხვადასხვა გამოცემული ვარიანტის კილოური განსხვავება.

<sup>7</sup> მოდალური ჰარმონიული აზროვნების თავისებურებათა შესახებ, იხილეთ ჟღენტი, 2005:90—94; 207-220.



შუალედური (დიდ და პატარა ტერციასა და სექსტას შორის), რის გამოც სხვადასხვა ადამიანი მათ განსხვავებულად აღიქვამს. ასეთი ჟღერადობის მქონე ნიმუშები გამშიფრავებს სხვადასხვა ალტერაციის ნიშნებით გადააქვთ ნოტებზე. ამის ნათელი მაგალითია კ. როსებაშვილის და დ. შულღიაშვილის მიერ გაშიფრული ა. ერქომაიშვილის აუდიო ჩანაწერები, ასევე, კ. როსებაშვილის, ვლ. ახოზაძის, გრ. ჩხიკვაძისა და ლ. ვეშაპიძის მიერ გაშიფრული სხვადასხვა ხალხური სიმღერის ერთი და იგივე ნიმუშები.

კიდევ ერთი დეტალი.

დ. არაყიშვილის, კ. როსებაშვილის, გ. ჩხიკვაძის, ვ. ახოზაძისა და სხვათა გამოცემულ კრებულებში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როცა შენიშვნაში მითითებულია, რომ, მაგალითად, ნოტი სი არის შუალედური ბგერა ბანში გაბმული სოლ-ის ფონზე და იგი ხან სი-ში გადადის, ხან სი ბემოლში. შესაბამისად გამომდინარეობს, რომ მოცემულ სიმღერაში სხვადასხვა მობრუნებისას ხან მინორული ტერცია ჟღერს, ხან მაჟორული (არაყიშვილი, 1916: 14, №21). შესაბამისად, როდესაც მიქსოლიდიურ კილოში დაბალი ტერცია ჟღერს, დორიულ კილოს ვიღებთ.

ამდენად, ჩვენ გვაქვს საფუძველი, რომ გელათის სკოლის საგალობლების რედაქტირება-შესრულებისას ამავე პრინციპებს მივდივით.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ თუკი ქართული ტრადიციული მუსიკისათვის ნიშანდობლივი მოდალური ჰარმონიული ენის „გრამატიკა“ არ ირღვევა, პრინციპულად „მიუღებელი“ არც ერთი დიატონური კილო არ უნდა იყოს.**

ამასთან, რაც არ უნდა თანმიმდევრულად „ვასწოროთ“ და გადავაკეთოთ, თანამედროვე რედაქტორთა აზრით, „არატიპური“ კილოები, ჩვენ მაინც ვერ გავექცევით ამ კილოების ჰიმნებში გამოვლენას — მაგალითად, „კარბელაანთ გალობის“ სხვადასხვა ჩამწერთა, ასევე, დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვისა და დ. არაყიშვილის ჩანაწერებში, საგალობელთა კადანსებში ხშირია, მიქსოლიდიური კილოს ნაცვლად დორიულის ინტონაციის ჩამოყალიბება; ასევე, ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთდღიანი ბგერათრიგში გ იონიურის ან ც ლიდიურის კილოურ ცენტრებზე (შესაბამისად ან გ-ზე ან ც-ზე) უნისონზე კადანსირებისას, ბანი პოლიფონიურ ინიციატივას იჩენს და უნისონზე მოსალოდნელი კადანსირების ნაცვლად მისგან ქვემო კვინტურ საყრდენს „უნყოფს“. შესაბამისად, იქ, სადაც გ იონიური „უნდა ყოფილიყო“, ვიღებთ ც ლიდიურს, ხოლო ც ლიდიურის „ნაცვლად“ ბანის კვინტური კოორდინაციის გამო „გაჩენილი“ ფა ბეკარის „მეშვეობით“ f ლიდიურის ჟღერადობას. საერთოდ, საგალობლის ფაქტურაში პოლიფონიურობის გაზრდა ინვევს ჰარმონიული მრავალფეროვნების გაზრდასაც, როგორც კილოური ასპექტით, ასევე, ვერტიკალის თვალსაზრისითაც.

**ამრიგად, წინამდებარე ანთოლოგიაში საგალობლების ხელნაწერების ალტერაციის ნიშნებისა და კილო-ჰარმონიული ასპექტის რედაქტირებისას, ჩვენს ამოსავალს წარმოადგენს, სანოტო ხელნაწერებსა თუ ძველ გამოცემებში ასახული კილოური მრავალფეროვნების, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად შენარჩუნება, რათა იგი არ შევწიროთ ჩვენს სმენით „ჩვევებსა“ და „გემოვნებას“, ჩვენს წარმოდგენებს ქართული სამგალობლო ჰარმონიის შესახებ.**

## დინამიური ნიუანსების შესახებ

ანთოლოგიის ტომებში დაბეჭდილი ყველა დინამიური ნიუანსი საგალობელთა პირველწყაროებიდან გვაქვს გადმოტანილი.

დღეისათვის მიღებულია, რომ გალობას არ უნდა ახასიათებდეს დინამიური ნიუანსირება. არადა, კარბელაშვილთა, ქორიძისა და კერესელიძის სანოტო ჩანაწერებში ხშირადაა აღნიშნული დინამიური ნიშნები. დინამიური აღნიშვნების სიმდიდრით „გამშვენებული“, განსაკუთრებით კი, გელათის სკოლის ნირვის საგალობლები (ქორიძე, 1895; კერესელიძე, Q-674) გამოირჩევიან. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ მდიდრული და გამომსახველი დინამიური ნიუანსირება, „გამშვენებული“ სტილის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ დინამიური ნიუანსირება, გალობის ტრადიციული შემსრულებლობისას, ხდებოდა ბუნებრივად და განპირობებული იყო საგალობლის მუსიკალური დრამატურგიითა და ტრადიციულ შემსრულებელთა (ხოლო ნოტირებისას, კარბელაშვილების, ქორიძისა და სხვათა) ინდივიდუალური მიდგომით. ამ მოსაზრებისა და ტრადიციული მუსიკის იმპროვიზაციული საშემსრულებლო პარადიგმის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ წყაროებში აღნიშნული დინამიური ნიშნების შესრულება-გათვალისწინება დასაშვებია არა ზედმიწევნით, არამედ სურვილისამებრ, შემოქმედებითად.

აღვნიშნავთ, რომ როგორც არ უნდა გაურბოდეს შემსრულებელი დინამიურ ნიუანსირებას, იგი მაინც იჩენს თავს მუზიციერების პროცესში, მუსიკალური არტიკულირებისა და მუსიკოსის



განწყობის ინტონაციაში გამოვლინების შედეგად. საგალობლებში კი, ამის გარდა, საგალობლის ლიტურგიკული ფუნქცია და მაგალობლის რელიგიური და მუსიკალურ-ესთეტიკური აქტივობა, განაპირობებს ინტონირების ექსპრესიულ და დინამიურ თავისებურებებს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელზე ხშირადაა მითითებული ძველ ლიტურგიკულ ნიგნებშიც — „იტყვიან ნელიად, ტკბილის ხმითა“, „ხმამალლად“ და ა.შ..

ამდენად, ჩვენი აზრით, საგალობლებში ზომიერი და ფაქიზი დინამიური ნიუანსირება მისაღებია. მიგვაჩნია, რომ მუზიციერების ეს აუცილებელი გამომსახველი საშუალება, გალობაში განპირობებულია და უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული საგალობლის კონკრეტულ ინტონაციურ და მხატვრულ შინაარსს, ლიტურგიკულ კონტექსტს, ლიტურგიკულ ნიგნებში მოცემულ მითითებებს, მაგალობლების ინტერპრეტაციულ პარადიგმას, მათ ვოკალურ აპარატს, მათ შემოქმედებით ოსტატობასა და პროფესიონალიზმს და, ამისგან გამომდინარე, ბუნებრივობის, დამაჯერებლობის, გულწრფელობისა და ზომიერების მომენტებს, უფრო მსხვილი მასშტაბით კი — ქრისტიანულ და ეროვნულ მუსიკალურ ესთეტიკას.

პირველწყაროებში — ქორიძისა და კერესელიძის დაბეჭდილ თუ ხელნაწერ კრებულებში, საგალობლებში დინამიური ნიუანსები ხშირად აღნიშნულია არა სამივე ხმასთან, არამედ ერთ — ზედა ხმასთან (აგოგიურ აღნიშვნათა მსგავსად). ჩვენ არ გადავუხვიეთ ამ თავისებურებას და დინამიურ ნიუანსებს აღვნიშავთ ზედმინევით პირველწყაროთა მსგავსად — სამივე ხმასთან მხოლოდ იქ, სადაც ისინი დედანშიც სამივე ხმასთან არიან გამონერილი, და ზედა ხმასთან ისე, როგორც პირველწყაროებშია.

ასეთ შემთხვევებში იგულისხმება, რომ დინამიური ნიუანსი საერთოა მოცემული ნაგებობის ყველა ხმისა თუ სინტაქსურ-მელოდიური სეგმენტებისათვის.

ქორიძისა და კერესელიძის მიერ ნოტირებულ საგალობლებში, იტალიურად აღნიშნულ დინამიურ ნიუანსებს ყველგან მიწერილი აქვს ქართული თარგმანიც — „*p* წყნარად“, „*f* მაგრად“. ჩვენ ამ თარგმანებს არ ვაქვეყნებთ, ვბეჭდავთ მხოლოდ იტალიურ აღნიშვნებს.

## აგოგიური ნიუანსების შესახებ

ანთოლოგიაში აღნიშნული ყველა აგოგიური ნიუანსი საგალობელთა პირველწყაროებიდან არის გადმოტანილი.

ამასთან, ჩვენი აღნიშნულია კარბელაშვილთა ტრადიციის საგალობელთა ჩანაწერებში დამაბოლოვებელ მუხლებში გამონერილი ყველა *ritenuto* (ტემპის შენელება).

ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ ნოტირებულ საგალობლებში, საკმაოდ გვხვდება ფრაგმენტები ტემპის განსაკუთრებული აჩქარების ან შენელების, ზოგჯერ კი — *alla breve*-ს მითითებით.

როგორც ჩანს, მკვეთრი აგოგიური ძვრები, „გამშვენებულ“ გალობაში, მუსიკალური გამომსახველობის ერთ-ერთი ხერხი იყო.

აგოგიურ მინიშნებათა ინტენსივობით, განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს, დ. არაყიშვილის მიერ ნოტირებული საგალობელთა პარტიტურები, რომლებშიც, ჩამწერი ცდილობს, ზედმინევითა და დაწვრილებით გადმოსცეს ფონოგრაფით ჩანერილი ნამღერის ყველა, მათ შორის, აგოგიური ნიუანსიც. ანთოლოგიის IV ტომში დატოვებულია დ. არაყიშვილისეული აგოგიური ნიუანსები. თუმცა, ეს აღნიშვნები პირობითი ხასიათისაა, ვინაიდან კრებულის ანოტაციაში (Аракчиев, 1905) იგი თავად აღნიშნავს, რომ, ხშირად, შეუძლებელი იყო მაგალობელთა ინტონირების გამომსახველი ხერხების ზუსტი ნოტირება.

ამდენად, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია როგორც ამ მითითებათა ზედმინევით შესრულება, ასევე, მათი იგნორირებაც,— კონკრეტული საგალობლის ინტონაციური და სულიერ-მხატვრული შინაარსის გათვალისწინებით. .

წმიდა მღვდელთმთავარი სტეფანე კარბელაშვილი, მის მიერ გამოცემულ კრებულებში „მწუხრი“ და „ცისკარი“, ქართულად და იტალიურად მიუთითებს, რომ საგალობლები უნდა შესრულდეს: „სულ საშუალოდ და ღმობიერად, ე.ი. *Moderato et animato*“. თანამედროვე მუსიკალურ ლიტერატურაში ეს ტერმინები, ასევე, ითარგმნება როგორც „ზომიერად“ და „სულით“, სწორედ სულისა და გულის ღმობიერებით აღბეჭდილი, ფართო სუნთქვის კანტილენურ-პოლიფონიური მდინარება წარმოგვიდგება ქართული საგალობლის ბგერად-ესთეტიკურ იდეალად.

## პოეტური ტექსტების ჩანერისა და გამღერების რამდენიმე მომენტის შესახებ

წირვის საგალობელთა პოეტური ტექსტების მორფოლოგიური თუ სინტაქსური ასპექტების და საგალობელთა მუსიკალურ ინტონაციასთან მათი მიმართების კვლევა, ჩვენი ანთოლოგიის მიზანს არ წარმოადგენს. ეს სფერო, ფაქტობრივად, არასისტემატიზებული და დაუმუშავებელია და მოელის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივ ანალიზს.

ამასთან, აქ ყურადღებას ვამახვილებთ, ანთოლოგიაში მოცემული საგალობლების პოეტური ტექსტების პუბლიცირების რამდენიმე ასპექტზე:

- საგალობელთა პოეტური აზრის მკაფიოდ გადმოსაცემად გამოყენებულია სასვენი ნიშნები (მაგ. ყველგან, მიმართვის ბოლოს დასმულია ძახილის ნიშანი და ა.შ.).
- სიტყვები, უმეტესწილად, დამარცვლულია არა გრამატიკული ნორმების, არამედ, ვოკალური ინტონირების სპეციფიკიდან გამომდინარე — ასეთ შემთხვევებში მარცვალთა დამასრულებელი თანხმოვნები გადატანილია შემდეგ მარცვლებში, რათა ყოველი მარცვალი დასრულდეს იმ ხმოვნით, რომლითაც ის მღერდება.
- ცალკე გამღერებულ თანხმოვანზე ყოველთვის დასაშვებად მიგვაჩნია თანხმოვნის ნაცვლად წინა მარცვლის ბოლო ხმოვნის გამღერება და თანხმოვნის შემდეგ მარცვალთან გადატანა.
- როდესაც მუხლთა ან საგალობელთა ფინალისებზე მხოლოდ თანხმოვანია გამღერებული, ასევე, იმ შემთხვევებში, როდესაც დიდ მანძილზე მღერდება თანხმოვანი, სასურველად მიგვაჩნია, არა მხოლოდ ამ თანხმოვნის, არამედ მასთან ერთად, მისი წინა ხმოვნის (ანუ მთელი მარცვლის) გამღერება. ამის გამო, რიგ შემთხვევებში, მსხვილი გრძლიობებით გამღერებულ თანხმოვნებს შეეუცვალეთ ადგილი და, მათ მაგივრად, შესაბამისი მარცვლების ხმოვნების გამღერება მივიჩნიეთ მიზანშეწონილად. ეს, განსაკუთრებით, ეხება „კარბელაანთ გალობის“ წყაროებში ფინალისებთან ჩანერილ თანხმოვნებს. ჩვენი აზრით, კარბელაშვილთა მიერ ფინალისებთან მარცვლის ბოლო თანხმოვნის მიწერა, რამდენადმე, პირობით ხასიათს ატარებს და გულისხმობს არა მაინცადამაინც თანხმოვნის გამღერებას, არამედ, გვიჩვენებს მარცვლის გამღერების საბოლოო საზღვარს.

„წირვაში“ ფ. ქორიძე აღნიშნავს (ქორიძე, 1895:II): „ამ ლიტურგიაში და საზოგადოდ ნოტებზე გადაღებულ ქართულ გალობაში, როდესაც შეხვდებით იმისთანა ნოტებს, რომელთაც სიტყვები არ აქვს მონერილი ქვეშ და არც გადაბმულია ერთი მეორეზე ხაზით (ლეგატო), მაშინ თვითოეული ის ნოტები უნდა იყოს გამოთქმული ოდნავ ხმის დაკვრით - „უდარენით“ მოკლედ. გარდა ამისა, შეხვდებით წერილმან ნოტებს ქვეშ უხმო ასოებს: (დ), (ნ), (თ), (ლ) და სხვა, რომელნიც უნდა გამოითქვას ხმოვან ასოთ. თუმცაღა უხმო ასო ლექსში მუნჯია, მაგრამ ხმოვანს ის დაემსგავსება მაშინ, როდესაც უხმო ასოს ხმარების დროს ენას მსწრაფლად მოაშორებ კბილებს, მაგ. (ნ) რომ არ დარჩეს მუნჯად, დაჰკრა უნდა ენა კბილებს, მოაშორე მაშინვე და განაგრძო ხმა, გამოვა (ნ) გაშლილი, მაგრამ განუმარტებელი რომელიმე ხმოვანი ასოთ და ამ გვარად სხვებიც. ეს შენიშვნები საჭიროა დაცულ იყოს ქართულ გალობაში, რადგანაც იგინი ახასიათებენ გალობას“.

ჩვენი აზრით, *non legato*-ს მნიშვნელობა გადაჭარბებულად არ უნდა აღვიქვათ — ქორიძისა და კერესელიძის გამოცემებსა და ხელნაწერებში ლეგატო ან ლიგები, პრაქტიკულად არსად არაა აღნიშნული, ტრიოლური რიტმული ფიგურების გარდა. ამ საკითხში (ისევე, როგორც, ყველა სხვა მუსიკალურ „პრობლემა“-ამოცანებთან), ჩვენი აზრით, მხატვრული ზომიერებისა და ბუნებრივობის კატეგორიები, შემოქმედებითი და მუსიკალური მიდგომაა საჭირო. ტოტალური, და მით უმეტეს, უხეში *non* ლეგატო (როგორც, არც თუ იშვიათად გალობენ ხოლმე ბოლო წლებში) ქართული საგალობლის ლმობიერი და ამაღლებული ესთეტიკური არსისათვის და უპირველესად ადამიანის სახმო აპარატის, ადამიანის ინტონაციურ-ვოკალური და სამგალობლო იდეალისათვის უცხო და შორი მოვლენაა. ასეა თუ ისე, დასაშვებად მიგვაჩნია, ქორიძისეული „გამშვენებული“ ჰიმნების განვითარებული რიტმ-ინტონაციებით წარმოქმნილი რთული, „რენესანსული“ პოლიფონიურ-დენადი ქსოვილის შესრულება, როგორც *non legato*-თი, ასევე *legato*-სა და სხვა არტიკულაციური შტრიხების დამაჯერებელი, ბუნებრივი და ოსტატური გამოყენებით, მგალობელთა სახმო აპარატის მთელი სიმდიდრითა და მუზიციერების მთელი ძალისხმევით, რადგანაც, სწორედ ასეთი შრომით, გულმოდგინებით, თვითშენიშვნით და სრულყოფისაკენ ლტოლვით მიიღწევა სათანადო შედეგები ხელოვნებაშიც და ადამიანის სულიერ-რელიგიურ ცხოვრებაშიც.

\* \* \*

ძველ გამოცემებსა და ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში გავრცელებული ტერმინების განსხვავებულ ვარიანტებს. კარბელაშვილებს ყველგან, სანოტო გამოცემებსა თუ ხელნაწერებში, სიტყვა „ალილია“ ჩანერილი აქვთ, როგორც „ალილია“. ამ სიტყვის ძველი ქართული ფორმაა „ალელია“. ჩვენ დიდხანს ვმერყეობდით, აღვედგინა თუ არა ძველი ფორმა, მაგრამ, საბოლოოდ, ვარჩიეთ თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული „ალილია“. ასევე, ხელნაწერებში ურთიერთმონაცვლეობს „ამინ“ და „ამენ“. რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვების ძველი ქართული (და საერთაშორისო) ფორმით გალობა ყველას შეუძლია და ეს არანაირი ლიტურგიკული ან ენობრივი დარღვევა არაა.

მსგავსია საგალობელ „რომელნი ქერუბიმთას“ შემთხვევაც, როცა პრაქტიკულად ყველა ხელნაწერში სიტყვიერ ტექსტში მოცემულია „რომელნი ქერაბინთა“. ანთოლოგიაში ყველგან, ლიტურგიკული ენის დღეისათვის მიღებული ნორმების თანახმად, ვიყენებთ სიტყვას „ქერუბიმი“, „ქერუბიმთა“.

იმავენაირად არის ეს სიტყვა მოცემული სხვა საგალობელთა („ღირს არს“, „სდუმენინ“ და ა.შ.) ხელნაწერებშიც. აქვე სიტყვა „სერაფიმიც“ დაფიქსირებულია თანამედროვე ლიტურგიკული და გამართული ფორმისაგან განსხვავებულად — „სერაბინი“. ჩვენ ამ სიტყვასაც დღეისათვის მიღებული ნორმის შესაბამისად ვბეჭდავთ ყველგან — „სერაფიმი“.

უფრო რთულია საგალობელ „მხოლოდშობილი“-ს შემთხვევა. დღეისათვის მიიჩნევენ, რომ მისი პოეტური ტექსტი გრამატიკულ და აზრობრივ შეცდომებს შეიცავს და საჭიროა მისი რედაქტირება. კერძოდ, შეუსაბამობად მიაჩნიათ, რომ ბოლო ფრაზა „გვაცხოვნენ ჩვენ“ მეორე პირშია და არის მიმართვა ძე ღმერთისადმი, ხოლო ჰიმნის დანარჩენი ნაწილი კი — მესამე პირშია და წარმოადგენს გადმოცემას და აღწერას მაცხოვრის განკაცების, კაცთა მოდგმის გამომხსნელი მოღვაწეობისა და ყოვლადწმიდა სამების დოგმატებისა.

მსგავსი გრამატიკული თავისებურებები ახასიათებს ჰიმნსაც „ნათელი მხიარული“. ამიტომ თანამედროვე გამოცემებში ეს ორი საგალობელი ახალი, შეცვლილი ტექსტით იბეჭდება ხოლმე.

თუკი გავიხსენებთ ფსალმუნთა ძველ ქართულ თარგმანებს, ცხადი გახდება, რომ ერთ პოეტურ ტექსტში პირთა მონაცვლეობა არა შეცდომა ან დროთა დინებით მოტანილი დამახინჯებაა, არამედ ძველი ქართული პოეტური მეტყველების მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებაა. ამ ფაქტის დასამტკიცებლად, თუნდაც 90-ე ფსალმუნიც კმარა, სადაც სწორედ ამ ტიპის მხატვრული მეტყველებით გადმოიცემა საღვთისმეტყველო და პოეტურ-ფილოსოფიური აზრი. პოეტური მეტყველების იმავე ხერხებით არის აგებული საგალობლები „ყოველდღიური აღსავლები“ და „მოვედით, თაყვანის-ვსცეთ“.

#### XIX-XX საუკუნის სანოტო კრებულებში „მხოლოდშობილის“ ტექსტი შემდეგნაირია:

მხოლოდშობილი ძე და სიტყვა ღმრთისა, უკვდავი არსება, თავს იდვა ჩვენისა ცხოვრებისათვის: ხორცილი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნა, და ჯვარს ეცვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, და ერთი წმიდისა სამებისა თანა დიდებულ არს — მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა; გვაცხოვნენ ჩვენ!

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ტექსტში არაა არც გრამატიკული და არც აზრობრივი შეცდომა.

განსხვავებულია ჩიჯავაძე-მიხაილოვის მიერ ნოტირებული „მხოლოდშობილი“, რომელშიც ასეთი პოეტური ტექსტია:

მხოლოდშობილო ძეო და სიტყვაო ღმრთისაო, უკვდავო არსებაო, რომელმან თავს იდე ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცთა შესხმა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა, და უქცეველად კაც იქმენ, ჯვარს ეცვი, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნე, და დიდებულ ხარ წმიდისა სამებისა თანა — მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა; გვაცხოვნენ ჩვენ!

თანამედროვე მსახურებაში, ზემოთ მოყვანილ I ტექსტს (ჩიჯავაძე-მიხაილოვის გარდა, ყველა სანოტო წყაროში რომაა მოცემული) შეცდომად მიიჩნევენ და „მხოლოდშობილს“ ასეთი ტექსტით გამოსცემენ და გალობენ:

მხოლოდშობილო ძეო და ღმრთისა სიტყვაო, უკვდავო არსებაო, რომელმან ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცილი შეისხნა, სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნა, და ჯვარს ეცვა ჩვენთვის, ქრისტე, ღმერთო ჩვენო, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნე, ერთი წმიდისა სამებისაო, მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა თანა დიდებულო, გვაცხოვნენ ჩვენ!

რა თქმა უნდა, პოეტურ ტექსტთა მრავალფეროვნება (გამონვეული სხვადასხვა ეპოქებისა თუ მთარგმნელობით-ლიტერატურულ სკოლათა გავლენით) ქართული ლიტურგიისა და გალობის თავისებურებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ არაა საჭირო „მხოლოდმობილი“-ს და (და ანალოგიური მიზეზებით, ასევე უძველესი ჰიმნის — „ნათელი მხიარული“-ს) პოეტური და მუსიკალური ტექსტების შეცვლა. წმიდა ფილიმონ ქორიძის, წმიდა ექვთიმე კერესელიძის, წმიდა ძმების კარბელაშვილთა, ასევე დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის და სხვათა მიერ ნოტირებულ ამ საგალობლებში პოეტური და მუსიკალური ტექსტები მჭიდრო კომპოზიციურ და მხატვრულ ერთიანობაში იმყოფებიან და მათი ამ განუმეორებელი და ერთიანი, მშვენიერი სახის შეცვლა ჩვენ სასურველად არ მიგვაჩნია.

ამასთან, თუკი, მაინც და მაინც, საჭიროა ტექსტის გრამატიკული რევიზია, განა უფრო უპრიანი არაა, რომ არა ერთი — ბოლო წინადადების მიხედვით შეიცვალოს მთელი ტექსტი, არამედ, ერთადერთი განსხვავებული — დამაბოლოებელი წინადადება შევეუსაბამოთ მთელ საგალობელს?

ასეთ შემთხვევაში „მხოლოდმობილის“ პოეტური ტექსტი შემდეგ სახეს მიიღებს:

მხოლოდმობილი ძე და სიტყვა ღმრთისა უკვდავი არსება, თავს იდგა ჩვენისა ცხოვრებისათვის: ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, უქცეველად განკაცნა, და ჯვარს ეცვა ქრისტე, ღმერთი ჩვენი, სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, და ერთი წმიდისა სამებისა თანა დიდებულ არს — მამისა და ყოვლადწმიდისა სულისა! გვაცხოვნა ჩვენ!

აქ საგალობლის ბოლო, სავედრებელი წინადადება „გვაცხოვნენ ჩვენ“ შეიცვალა ჰიმნის სხვა მუხლების მსგავსად, უფალ იესოს განხორციელების, მისი მაცხოვრებელი მოღვაწეობისა და ყოვლადწმიდა სამების დოგმატების გამომხატველი, საგალობლის კულმინაციური ლაღადისით „გვაცხოვნა ჩვენ“. მართლაც, უფალმა იესომ, თავისი განკაცებით, ჯვარცმით, აღდგომითა და ღმერთკაცობრივი მოღვაწეობით გამოიხსნა და აცხოვნა ადამიანთა მოდგმა საუკუნო ბოროტებისაგან და მოგვმადლა ჩვენ მის ღვთიურ ბუნებასთან აქვე, დედამიწაზე ზიარების საშუალება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანთოლოგიაში ჰიმნებს „მხოლოდმობილი“ და „ნათელი მხიარული“, ვბეჭდავთ სწორედ ისეთი პოეტური და მუსიკალური ტექსტებით, როგორც XIX-XX საუკუნის სანოტო წყაროებშია დაფიქსირებული. ამასთან, ზოგან წვრილი შრიფტით ვბეჭდავთ „მხოლოდმობილის“ ბოლო წინადადების II ვარიანტსაც — მესამე პიროში.

## სამზე მეტხმიანი საგალობლები ღვთისმსახურების ქართულ ტრადიციაში

ქართული (განსაკუთრებით კი, ქართლ-კახური) საგალობლების XIX-XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებში მრავლად მოიპოვება მაგალითები, როდესაც ჩანერილია ბანის ან II ხმის ინტონირების 2, ან მეტი ვარიანტი. ზოგჯერ, ასეთ ჩანაწერებს ისეთი ხასიათი აქვთ, რომ ძნელია ითქვას — მათში ინტონირების ვარიანტებია უბრალოდ მოცემული, თუ სამზე მეტხმიანი ფაქტურა.

ასეთია, მაგალითად, I ტომში დაბეჭდილი №117 „განიცადე“, რომლის რამდენიმე ფრაგმენტიც, ქართულ მუსიკოლოგიაში, მიჩნეულია გელათის სკოლის ოთხ და ხუთხმიანი გალობის ტრადიციის ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებად (შულღიაშვილი, 2001, ჯანგულაშვილი, 2011).

ამასთან, ეპისკოპოსი სტეფანე კარბელაშვილის ჩანაწერებში გვხვდება, სამზე მეტხმიანი საგალობლების პარტიტურებიც და ცალკეულ ხმათა პარტიტების ჩანაწერებიც.

სამზე მეტხმიანი საგალობლები განსაკუთრებული მოვლენაა მრავალი ასპექტით. ანთოლოგიაში ჩვენ ვბეჭდავთ, როგორც ზემოხსენებულ ფ. ქორიძისეულ ჰიმნს (I ტომში), ასევე სტ. კარბელაშვილის მიერ ნოტირებულ ყველა ასეთ საგალობელს (II-IV ტომებში). ზოგიერთი მათგანის პუბლიკაცია მხოლოდ ფართო საზოგადოებისათვის მათ წარმოჩენას ისახავს მიზნად, ვინაიდან, რამდენადმე ესკიზური ხასიათის ამ ფრაგმენტების შესრულება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთ ნიმუშებთან ჩვენ სპეციალურ მინიშნებას ვაკეთებთ.

წყაროებში დაცული სამზე მეტხმიანი საგალობლები ორ ჯგუფად იყოფა — ტრადიციული ერთგვაროვანი გუნდისათვის შექმნილი 4-11-ხმიანი ნიმუშები და შერეული გუნდისათვის არანაწირობის ან გადაკეთებული 4 და მეტხმიანი საგალობლები.



ეს უკანასკნელი მოცემულია ფ. კარბელაშვილის, მ. ელიზბარაშვილისა და დ. ჩიჯავაძე-მიხაილოვის ხელნაწერებში. თავისთავად საინტერესოა, რომ ტრადიციული გალობის შემომნახველი ინერდენ, სხვათა, ან თავად მათ მიერ გადაკეთებულ ტრადიციულ სამხმიანობას ევროპული შერეული საგუნდო მუსიკის ყაიდაზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ერთი მხრივ, მათთვის დასაშვები იყო სამზე მეტ ხმიანი მუზიცირების პრაქტიკა და, რა თქმა უნდა, მეორე მხრივ, მეტყველებს რუსულ გავლენაზეც. ტონალური ჰარმონიის გავლენით შექმნილ/დამუშავებულ საგალობლებს ჩვენ არ ვბეჭდავთ ანთოლოგიაში (სხვათა შორის, ისინიც მოელიან მკვლევრებს). ანთოლოგიაში დაიბეჭდება ერთგვაროვანი გუნდისათვის განკუთვნილი სამზე მეტხმიანი ჰიმნები, რომლებშიც ვლინდება მოდალური ჰარმონიული აზროვნება<sup>8</sup>.

ქართული საეკლესიო საგალობელი ტრადიციულად სამხმიანია. ამასთან, როგორც ცნობილია, გარკვეული ისტორიული პერიოდის (XVI—XIX სს.) წერილობით წყაროებში საკმაო რაოდენობის ინფორმაციაა მოცემული სამზე მეტხმიანი საგალობლების შესახებაც. ეს ნარატიული ცნობები საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ მეცნიერებაში (ჯავახიშვილი, 1990; შულღიაშვილი, 2001; სუხიაშვილი, 2002; ჯანგულაშვილი, 2011).

დ. შულღიაშვილისა (შულღიაშვილი, 2001) და ჩვენს (ჯანგულაშვილი, 2011) ნაშრომებში მოცემულია სტ. კარბელაშვილის, ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ დაფიქსირებული სამზე მეტხმიანი საგალობლების მუსიკალური და ესთეტიკური ანალიზიც. სამზე მეტ ხმიანი საგალობლების პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ხსენებულ ნაშრომებს.

\* \* \*

და ბოლოს, ერთი შენიშვნა: თუკი რომელიმე საგალობლის სიმაღლე, ვოკალურ-რეგისტრულად მიუღებელია რომელიმე გუნდისათვის და საშემსრულებლო უხერხულობას ქმნის, დასაშვებია საგალობლის სიმაღლის შეცვლა, ტრანსპონირება — მგალობლების ან გუნდის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ, ვინაიდან ყველაფერი საგალობლის მხატვრული განხორციელების პროცესის ბუნებრივობას, ესთეტიკურ და სულიერ სრულყოფილებას უნდა ემსახურებოდეს და არა შემსრულებლების სანოტო ჩანაწერთან მექანიკურ დამოკიდებულებას.

## მადლიერების სიტყვა ანთოლოგიის შემდგენელ-რედაქტორებისაგან

ანთოლოგიის „ქართული გალობა“ გამოცემის იდეის ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრთა — ბატონების: ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონ მიხეილ გიორგაძის, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის, ბატონ გიორგი დონაძის, ფოლკლორის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარეების — ბატონების ანზორ ერქომაიშვილისა და ჯემალ ჭკუასელის, მეცენატის, ფონდის „ქართული გალობა“ დამფუძნებლის, ბატონ ვანო ჩხარტიშვილის და ამავე ფონდის დირექტორის, ქალბატონ ნანა გოთუას; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ამჟამინდელი ხელმძღვანელის, ბატონ ზაზა აბაშიძისა და მის წინამორბედების — ბატონების ბუბა კუდავასა და ზაზა ალექსიძის; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლების და, განსაკუთრებით, ქალბატონების ესმა მანიასა და ლელა გოცირიძის; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ხელმძღვანელის, ქალბატონ თეონა იაშვილის; სახელმწიფო არქივისა და საქართველოს თეატრის, კინოს მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის ქეთევან ასათიანის; ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს, ქალბატონ ცისანა ქოჩიაშვილის; ქართული ხელოვნების ისტორიის მკვლევრის, ბატონ ლუარსაბ ტოგონიძის, მთარგმნელების — ერიკ ჰალვორსონის, მაია კაჭკაჭიშვილის, ნატა ჯინჭარაძის, მაკო ლვინიაშვილის, თეონა ლომსაძის, თათია თავშავაძის, გიორგი ჩიხლაძის, ლევან ვეშაპიძის, და ანთოლოგიის მთელი სამუშაო ჯგუფის თანადგომითა და მხარდაჭერით, რისთვისაც ყოველ მათგანს ვწირავთ ჩვენს უზომო მადლიერებას.

<sup>8</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ სამზე მეტხმიან საგალობელთა გუნდის სახეობებიც დიდად არაა შესწავლილი ქართულ მუსიკოლოგიაში. ასევე, არ ვიცით ისიც, თუ, სამგალობლო გუნდების დღეს მიღებულ, მკაცრ გენდერულ რეგულაციას რამდენად იცავდნენ შუა საუკუნეებში — გალობდნენ თუ არა ქალები და კაცები, ან ბავშვები და მოზრდილები ერთად. ეს საკითხებიც სპეციალურ კვლევას მოელის.

## ანთოლოგიის I ტომში შეტანილი საგალობლების, მათი წყაროებისა და სავარაუდო გადმომცემთა შესახებ

ანთოლოგიის I ტომში შეტანილი გვაქვს მის სათაურში ხსენებული ლიტურგიკული განგებებისა და სამგალობლო ტრადიციის საგალობლები ფ. ქორიძის მიერ გამოცემული კრებულებიდან<sup>9</sup>.

ანთოლოგიის I ტომში საგალობლები განლაგებულია ისე, როგორც ეს მის დედან კრებულებშია. ზოგიერთ შემთხვევაში საგალობლები გადავაადგილეთ თანამედროვე ლიტურგიაში დამკვიდრებული თანმიმდევრობის მიხედვით, რაზეც კონკრეტულ საგალობლებთან კომენტარებშია მითითებული.

\* \* \*

როგორც მკვლევართათვისაა ცნობილი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H და Q ფონდებში დაცულ, ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერ სანოტო კრებულებში შემონახულია ფ. ქორიძის მიერ გამოცემულ 6 კრებულში (იხ. ზემოთ) შესული საგალობლების მსგავსი, ან რიგ შემთხვევებში, აბსოლუტურად იდენტური საგალობლები.

მასალის დიდი რაოდენობისა და მასშტაბების გათვალისწინებით, შემდგენელ-რედაქტორებმა (სვ. ჯანგულაშვილი, ლ. ვეშაპიძე) უმჯობესად მივიჩნიეთ ანთოლოგიის ტომებში განცალკევებულად გამოგვექვეყნებინა XIX-XX საუკუნეთა გასაყარზე გამოცემული და სხვადასხვა არქივში დაცული ხელნაწერი სამგალობლო კრებულები. გამონაკლისს წარმოადგენს ანთოლოგიის II-III-IV ტომები, რომლებშიც შემდგენელ-რედაქტორს (სვ. ჯანგულაშვილს) თავმოყრილი ექნება წირვის წესის, ამავე პერიოდში გამოცემული და, ასევე, ხელნაწერი საგალობლები.

1895 გამოცემულ „წირვის“ თავფურცელზე, თავად ფ. ქორიძე აღნიშნავს, რომ წირვის საგალობლები ჩაინერა იმდროინდელი ქართული გალობის თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან, სრული მაგალობლებისაგან: ანტონ დუმბაძისაგან (რომელიც XIX საუკუნის პრესაში მოიხსენიება, როგორც ძველი ქართული სამგალობლო ტრადიციის ბოლო დიდი წარმომადგენელი, უკანასკნელი სრული მაგაობელი, ამაგდარი კულტურული მოღვაწე, რიგი ლიტურგიკული განგებების საგალობლების ერთადერთი მცოდნე, ლოტბარი და მასწავლებელი), დიმიტრი ჭალაგანიძისაგან, რაჟდენ ხუნდაძის, ივლიანე წერეთლის, მელქისედეკ ნაკაშიძისა და ნესტორ კონტრიძისაგან.

ქართული გალობის მკვლევართა, მოყვარულთა თუ შემსრულებლებისათვის, კარგადაა ცნობილი ამ შესანიშნავ მაგაობელთა მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. არა მარტო წინამდებარე კრებულში, არამედ ფ. ქორიძისა და ე. კერესელიძის მიერ ნოტირებულ მთელს მასალაში ჩანს მათი ღვთივმომადლებული ნიჭიერება, პოლიფონიური და ჰარმონიული აზროვნების უშრეტო მრავალფეროვნება. წინამდებარე კრებულში შესული საგალობლები ძველი ქართული მუსიკალური ხელოვნების უნიკალურ საგანძურს განეკუთვნება, რომლის ჩვენამდე მოტანას სწორედ ამ გენიალურ მაგაობლებს უნდა ვუმაძლოდეთ.

როგორც ცნობილია, ფილიმონ ქორიძე საგალობლებს იწერდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ამასთან, ეს დაულალავი მოღვაწე აყალიბებდა გუნდებს და მის მიერ ნოტირებულ და გადარჩენილ საუნჯეს კვლავ ხალხს უბრუნებდა. ცხადია, წმიდა ფილიმონის მიერ ნოტირებულ დასავლურ-ქართულ სამგალობლო ტრადიციას და, უფრო მეტიც, მთლიანად ქართულ გალობას, ერთიანი ესთეტიკური, ენობრივი და კომპოზიციური აზროვნება და ფორმები ახასიათებს, თუმცა ამ მასალის კლასიფიცირება ცალკეულ ლოტბართა თუ სავარაუდო ტრადიციებისათვის ნიშანდობლივი მუსიკალურ-სტილისტური კატეგორიებით დღეისათვის მეტად რთულია. ამის შესახებ

<sup>9</sup> 1. ქართული გალობა : ლიტურგია იოანე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელთმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედეკ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1 // ტფილისი : მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895<sup>9</sup>

2. მიცვალებულთა საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით, გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899.

3. საგალობელი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა და აშხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901.

ქართულ მუსიკოლოგიაში მეტად მცირე რაოდენობის გამოკვლევები არსებობს (შულღიაშვილი, 2003; გვახარია, შულღიაშვილი, რაზმაძე, 2013:15-19; შულღიაშვილი, 2014:38-42).

მაგალითად, სხვადასხვა მწირი ცნობის საფუძველზე (ე. კერესელიძის ხელნაწერი Q840:10v-11r; შულღიაშვილი, 2015:132, 133), ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ №69 „რომელნი ქერუბიმთა“ და №88 „ღირს არს და მართალ“ ფ. ქორიძეს მელქისედეკ ნაკაშიძისაგან აქვს ჩანერილი. ასევე, მისივე მითითებებიდან ვიცით, რომ №146 „ზეციტ გამოჩინებულისა“, №147 „წმიდაო, წმიდაო“ და 157 „მოსლვისა შენისა“ ანტონ დუმბაძისაგან არის ჩანერილი. მაგრამ ენობრივ-სტილისტიკური მახასიათებლების მიხედვით მის მიერ ნოტირებული საგალობლების ამა თუ იმ ლოკალურ-რეგიონული ტრადიციისადმი მიკუთვნებულობა, დღეისათვის მომავალი კვლევის საგანია.

## ინტონაციურ-ჰარმონიული კონფიგურირების საკითხები I ტომში დაბეჭდილი კვერექსების მაგალითზე

საგალობელში საგასაღებო ალტერაციის ნიშანთა და ჰარმონიის კონფიგურირების თვალსაზრისით, წინამდებარე კრებულში შემავალი კვერექსები (ისევე, როგორც მათი იდენტური ან მონათესავე კვერექსები ქორიძე-კერესელიძისეული და ხუნდაძისეული ხელნაწერებიდან თუ გამოცემებიდან) მკაფიო ილუსტრაციაა იმ საკითხებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ, ანთოლოგიის შესავლის შესაბამის ქვეთავში ვსაუბრობთ.

დადგენილია, რომ როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების კვერექსები ერთ მელოდიურ არქეტიპს მიეკუთვნება. თავის მხრივ, ეს არქეტიპი ენათესავება რეჩიტაციული სამგალობლო ჰანგების მოდელსა (მაგ. წირვის აღსავლების/ანტიფონებისას, რეჩიტაციული „მამაო ჩვენო“-სი და „მრნამისა“) და საეკლესიო მუზიციურების ყველაზე უძველესი შრის — ფსალმოდირების, ანუ საეკლესიო წიგნთა გამღერებული ნაკითხვის მელოდიურ არქეტიპებს (ჯანგულაშვილი, 2008).

გელათის სკოლის, ფ. ქორიძის, ე. კერესელიძისა და რ. ხუნდაძის მიერ ნოტირებული კვერექსები, წყაროთა უმრავლესობაში მოცემულია ერთი მელოდიური მოდელის პოლიფონიურ ვარიანტებზე დაფუძნებული მიკროციკლების სახით. ამ მიკროციკლების პირველ მუხლში მოცემულია კვერექსის პირველადი მელოდია, რომელსაც სანყისად აქვს ფინალისიდან ტერციით მაღლა მდებარე ბგერა. მეორე მუხლში მელოდია (პირველი მუხლის ვარიანტული გადამუშავება) ფინალისისავე სიმაღლიდან იწყება და, როგორც წესი, მეორე ხმა მასთან გადაჯვარედინებულია — ტერციით მაღალი სანყისი ბგერით. კვერექსის მესამე მუხლში კი, I-II მუხლების ვარიანტული სახეცვლით ფორმირებული მელოდია ფინალისზე კვინტით მაღალი ბგერიდან ან ფინალისზე კვინტით მაღალი ბგერის შემომღერებაზე აგებული სუბმოტივით იწყება ხოლმე.

ქორიძე-კერესელიძისა და ხუნდაძისეული კვერექსების მიკროციკლებში შესაძლოა შეგვხვდეს აღწერილ მუხლთა არასრული, ან განსხვავებული თანმიმდევრობა, მაგრამ, ყოველ კონკრეტულ კვერექსს, ზემოთ აღწერილთაგან რომელიმე მელოდიურ-პოლიფონიური „ჩონჩხი“ უდევს საფუძვლად. კვერექსის თითოეულ, „სადა“ თუ „გამშვენებულ“, ვარიანტში სწორედ ამ მოდელების განსხვავებულად ინტონირება ხდება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გამოცემათა თუ ჩანანერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, კვერექსები ერთი სიმაღლიდან არის ნოტირებული და პირველი ხმის ფინალისი არის **a**. შესაბამისად, კვერექსთა ციკლის პირველი მუხლის სანყისი ბგერა არის **c**. მეორე მუხლის სანყისი ბგერა — **a** (მასთან გადაჯვარედინებული მოძახილის სანყისი ბგერა — **c**), ხოლო მესამე მუხლისა კი — **e**. აღსანიშნავია, რომ კარბელაშვილთა მიერ გამოცემულ კვერექსებშიც, ფინალისია **a** და მუხლებიდან (რომელთა რაოდენობაც ქორიძისეულზე მეტია) უმრავლესის სანყისი ბგერა არის სწორედ **c**. ამასთან, საზიარო ინტონაციური არქეტიპი ვლინდება ქართული გალობის ყველა რეგიონული ტრადიციის კვერექსებში.

ზემოთ აღწერილი ჰარმონიული ვარიანტულობისა და ფერადონების დამადასტურებელი მოვლენაა ის ფაქტი, რომ საგალობელთა პირველწყაროებში, ერთსა და იმავე კრებულში, მეტიც, კვერექსთა ერთი მიკროციკლის ფარგლებშიც კი, გვხვდება შემთხვევები, როდესაც კვერექსებში საგასაღებო ნიშნები ორი სახით არის გამოწერილი — ან საგასაღებო ნიშნები არაა (ისე, რომ უნისონზე კადანსირებისას ვიღებთ **a** ეოლიურის მიხრილობას, კვინტაზე კადანსირებისას კი **d** დორიულს — ასეთი მაგალითები გვხვდება ხელნაწერებში Q672-სა და Q673-ში), ან გასაღებში ერთი ბემოლია (პრიმით კადანსირებისას **a** ფრიგიული, ხოლო კვინტაზე კადანსირებისას **d** ეოლიურის მიხრილობით). ზოგიერთ შემთხვევაში კვერექსში აღნიშნულია ორი ბემოლიც, და, შესაბამისად, პრიმაზე კადანსირებისას **a** ლოკრიული ვლინდება.



ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შემთხვევაში, კვერექსების უღერადობა სავსებით ეთანადება ქართული გალობის ტრადიციული მუსიკალური ენის, მოდალურ-დიატონური აზროვნებისა და ესთეტიკის პრინციპებს, ყველა შემთხვევაში კვერექსები სავსებით „სწორად“ და „ქართულად“, „სამგალობლოდ“ უღერს.

ზოგიერთ შემთხვევაში კვერექსები ტრანსპონირებულად არის ნოტირებული, მაგრამ, ზემოთ აღწერილი კომპოზიციური პარადიგმა მათშიც ვლინდება და მათშიც საგასაღებო ნიშანთა აღნიშვნის ზემოთ აღწერილი სიტუაციაა, ანუ უპრობლემოდ არის შესაძლებელი მათი ზემოთ აღწერილი კილოური ვარიანტებით შესრულება.

ანთოლოგიის შესავალში ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ეს მოვლენა — ერთი მელოდიურ-კომპოზიციური ინვარიანტის ვარიანტებში ჰარმონიული კონფიგურაციის განსხვავებულობა, ახასიათებს ქართულ გალობას. ნინამდებარე კრებულში (ისევე, როგორც მთელს ანთოლოგიაში) მსგავს გარემოებას რამდენჯერმე შევხვდებით და მათ შესახებ კონკრეტული საგალობლების სქოლიოებში მივანიშნებთ.

დღეისათვის ჩვენ არ ვიცით ამ მოვლენის წარმოშობის ჭეშმარიტი მიზეზი; არ ვიცით, რომელია კვერექსების „სწორი“ ჰარმონიული ვარიანტი, რომელი საგასაღებო ნიშნებითაა „სწორი“ კვერექსების შესრულება. ვფიქრობთ, ეს ვარიანტულობა და ფერადოვნება ჩვენი გენიალური წინაპრების მაღალ ესთეტიკურ აზროვნებასა და შემოქმედებით თავისუფლებაზე მეტყველებს და სწორედ ეს მრავალფეროვნებაა „სწორი“ აზროვნების გამოხატულება.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველა კვერექსში დავტოვებთ ის საგასაღებო ნიშნები, რაც მათ პირველწყაროებში იყო. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ მგალობლებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ ყველა კვერექსის შესრულება ალტერაციის იდენტური ნიშნებით. მაგალითად — ფინალისად *a*-ს შემთხვევაში, დასაშვებად მიგვაჩნია კვერექსების შესრულება ან გასაღებში ერთი ბემოლით (ზოგჯერ ბანში შეიძლება 2 ბემოლი გახდეს საჭირო), ან საგასაღებო ნიშნების გარეშე.

## ლიტერატურა:

- არაყიშვილი, დიმიტრი (შემდგ.). (1916). ქართული ეროვნული ორხმოვანი სიმღერები: თბილისის და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებისათვის. ქ. მოსკოვი: ავტორის გამოცემა.
- გვახარია, ვაჟა, შულღიაშვილი, დავით, რაზმაძე, ნინო (შემდგ.). (2013). *ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი, წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერთა მიხედვით*. საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.
- ერქვანიძე, მალხაზ (შემდგ.). (2002) *ქართული გალობა, გელათის სკოლა*, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა საგალობლები. ტ. II. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი.
- ერქვანიძე, მალხაზ (შემდგ.). (2006). *ქართული საეკლესიო გალობა, გელათის სკოლა, დიდი მარხვისა და ზატიკის საგალობლები*. ტ. IV. საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი.
- ერქვანიძე, მალხაზ (შემდგ.). (2008). *ქართული საეკლესიო გალობა, წმ. იოანე ოქროპირის წირვა, გელათისა და შემოქმედის სკოლები*. ტ. V. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი.
- ვეშაპიძე, ლევან, წერეთელი, ზაალ. (2014). „ქართული ტრადიციული ბგერათრივის შესახებ“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის VII საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები. გვ. 281-295. რედაქტორები: ნურნუშია, რუსუდან, ჟორდანი, იოსებ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი.
- მანაგაძე, ხათუნა. (2006). *წმინდა ანდრია კრიტელის „სინანულის კანონი“ და მისი ქართული ძლისპირები (Q680 ხელნაწერის მიხედვით)*. საკანდიდატო დისერტაცია. ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.
- ოსიტაშვილი, მარიკა. (1983). „ქართული რვა ხმის სისტემა და მისი კილოური საფუძვლები“. კრებულში: *ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდიკა და რიტმი. სამეცნიერო შრომები*. გვ. 93-114. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- ჟღენტა, ივანე. (2005). *ლექციები ჰარმონიაში*. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.
- როსებაშვილი, კახი (შემდგ.). (1968). *ქართული გალობა (იმერულ-გურული კილო)*. თბილისი: სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება.



როსებაშვილი, კახი (შემდგ.). (1976) *ქართული გალობა (გურული კილო)*. თბილისი: სსრკ მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილება.

სუხიაშვილი, მაგდა. (2002). „ზოგიერთი ძველი ქართული სამუსიკო ტერმინის განმარტებისათვის“. ჟურნ.: *რწმენა და ცოდნა*, №2 (ივნისი-აგვისტო), გვ. 38-45. თბილისი.

სუხიაშვილი, მაგდა. (2006). *გალობის კანონიკის ძირითადი ასპექტები ძველ ქართულ სასულიერო მუსიკაში*. საკანდიდატო დისერტაცია. ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

შულღიაშვილი, დავით. (1991). „ქართული გალობის შტოთა ერთიანობის შესახებ“. კრებულში: *ძველი ქართული პროფესიული მუსიკა. ისტორიისა და თეორიის საკითხები*. პ/მ. რედ.: რ. წურნუშია. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.

შულღიაშვილი, დავით. (2001). „ქართული გალობის „უნისონური“ მრავალხმიანობა“. კრებულში: *სასულიერო და საერო მუსიკის პრობლემები. ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები*. პ/მ. რედ.: რ. წურნუშია. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.

შულღიაშვილი, დავით. (2003). „ქართული გალობის სკოლები და ტრადიციები“. კრებულში: *ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებები*. გვ. 427-441. რედაქტორები: წურნუშია, რუსუდან, ჟორდანიას, იოსებ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრი.

შულღიაშვილი, დავით. (2014). *ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა (საგალობელთა სანოტო ჩანაწერების მიხედვით)*. საქართველოს საპატრიარქოს გალობის ცენტრი. თბილისი.

შულღიაშვილი, დავით (შემდგ.). (2015). *ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში*. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი.

ჯავახიშვილი, ივანე. (1990). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ხელოვნება

ჯანგულაშვილი, სვიმონ (ჯიქი). (2008). *სამღვდელთმთავრო წირვის საგალობელთა თავისებურებანი სტიფანე (ვასილ) კარბელაშვილის საარქივო მასალების მიხედვით (კათაკმეველთა ლიტურგია)*. სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომი. ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

ჯანგულაშვილი, სვიმონ (ჯიქი). (2011). *ქართული საგალობლის მუსიკალური ესთეტიკა, არსი და მხატვრული მეთოდი*. სადისერტაციო ნაშრომი. ინახება ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

Аракчиев, Дмитрий (1905). Краткий очерк развития грузинской, карталино-кахетинской, народной песни. О грузинской духовной народной музыке, с приложением напевов на литургии св. Иоанна Златоустаго. Москва: Типография К. Л. Меньшова

Герцман, Евгений. (1988). *Византийское музыкознание*. Ленинград: Музыка.

Скабалланович, Михайл. (2008). *Толковый Типикон. Объяснительное изложение типикона. С историческим введением*. Москва: Издательство Сретенского монастыря.

## ხელნაწერები

ექვთიმე კერესელიძე, Q840, ისტორია ქართული გალობის ნოტებზე გადაღებისა. დაცულია კ. კეკელიძის სახელობის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ექვთიმე კერესელიძე, Q672, ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად ნელინადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი. დაცულია კ. კეკელიძის სახელობის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ექვთიმე კერესელიძე, Q673, ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სრულიად ნელინადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი (ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი). დაცულია კ. კეკელიძის სახელობის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ექვთიმე კერესელიძე, Q674, ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული, სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის (ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი). დაცულია კ. კეკელიძის სახელობის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

## აუდიოალბომები

ერქვანიძე, მალხაზ (შემდგ.). (2010). *შუა საუკუნეების საეკლესიო გალობა: მამა დავითის ტაძრის გუნდი*. ხმის რეჟისორი: დავით ხოსიტაშვილი. თბილისი: სტუდია სახიობა.

## Introduction

On December 20<sup>th</sup>, 2011 The Holy Synod of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church canonized the distinguished members of the clergy as well as laypersons who dedicated their lives to the preservation of Georgian Christian culture, and, in particular the polyphonic chanting tradition. Consequently, their ecclesiastic titles were set by the Synod to: Saint Chanter Philemon, Devoted to the Nation (Koridze); Saint Martyrs Petre and Andria (Karbelashvili), Saint Confessor, bishop Stephane (Karbelashvili); Saint Confessor Polievchtos (Karbelashvili); Saint Confessor Philemon (Karbelashvili).

These saints were worthy companions of distinguished fathers, who at the turn of the of 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries, fought for the freedom, prosperity and spiritual resurgence of our country – Saint Ilia the Righteous (Chavchavadze); Saint Bishops Gabriel (Kikodze) and Alexander (Okropiridze); Saint Davit Kipiani, martyr; Saint Confessor Ekvtime (Kereselidze), Saint Ekvtime the Divine (Takaishvili); Saint Catholicos-Patriarch, Kirion the Martyr (Sadzaglishvili) and Ambrossi the Confessor (Khelaia); Saint Confessor Alexi Shushania; also Vazha-Pshavela, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili, Niko Nikoladze, etc.

These distinguished individuals averted the imminent threat of collapse and obliteration of the Georgian nation, Georgian Church and most prominent tenets of Georgian art and culture.

They were the ones to lay down the foundation for a balanced development of the Georgian nation and Georgian state in this new era. The guiding principle of this undertaking was the notion of organic synthesis of Georgian national and religious principles with the most valuable achievements of European culture. These inspired individuals continued the life's works of King Mirian and Queen Nana; Vakhtang Gorgasali; Ioane Sabanidze; Grigol Khandzeli; Giorgi Merchule; Ioane, Ekvtime and Giorgi Mtdatsmindeli; Ioane Petritsi; Ephrem the Small; David IV of Georgia (the Builder); King Tamar; Shota Rustaveli; King Vakhtang VI and Sul Khan-Saba; Davit Guramishvili; Anton Catholicos...

The struggle for the preservation of Georgian chant finally came to an end near the end of XIX century, when the European musical notation system preserved the unique Georgian polyphonic chanting from oblivion.

Numerous generations of Georgian musicians yearned to create a Notational Anthology of traditional Georgian chants. The series of published or scripted notated collections at the turn of the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries, are considered the first anthologies of this kind. Unfortunately, full publication of manuscripts by Koridze, Kereselidze, brothers Karbelashvili and others was impossible at the time. However, by God's will, this national treasure is collected in the National Center of Manuscripts, Folklore State Center, Central National Archive, and other repositories.

## Anthology Concept

The concept for the Anthology of Georgian Chant is based on several main ideas:

The Anthology is a part-scientific, part-practical publication, the goal of which is to amass the most comprehensive collection of Georgian traditional chants. To achieve this goal, chants from diverse chanting schools and liturgical collectives will be included (from below mentioned list of sources).

The scientific character of the publication is demonstrated by the commitment to the presentation of the original versions of notated chants with utmost accuracy; wherever revisions or alterations are inevitable, substantiating evidence is provided.

The Anthology will include all available data, sometimes including original scores, together with the revised versions. In some cases, several editorial interpretations of a specific chant's harmony or other aspects may be presented. Each editorial revision, each diversion from the authentic text will be noted and discussed in footnotes.

It is to be noted that such revisions are required primarily in following cases:

- a) Cases when the manuscript or the original publication of the chant contains evident mistakes, such as when the final chord is a second instead of unison, or a triton instead of the fifth. Such cases are explained in footnotes.
- b) Cases when the chant is originally transcribed using bar form, in regular metric measures, which does not correspond well to its intonation and aesthetic substance. In such cases, bar lines are removed and the chant is instead presented in stanzas. In this case, explanations are not provided because these revisions do not affect the musical texture of the chant.
- c) Cases, in which intonation using original accidentals creates atypical phonation for the specific chant melody. Revisions for such cases are discussed in the footnotes for each chant.

Each volume of the Anthology will be prefaced with an introductory passage, which will describe the peculiarities of revision for all the different aspects of the musical texts, and assist performers and researchers. It is not yet possible to tell how many volumes of the Anthology will be necessary to incorporate all the treasures of Georgian chant that have reached us (short descriptions and list is given in next chapter). We can, however, say with certainty that some developments of Georgian chant are not as closely researched as others. Studies in Georgian musicology contain more information about some, while others

are not documented in the same kind of detail. For example, musical research conducted on Mass chants included in volumes I – IV of the Anthology are numerous and very detailed. Valuable research has also been conducted on the Eight-tone system of Georgian chant. In contrast, some aspects (intonational or compositional) of several other directions of Georgian chant are not as closely researched by scholars. Among the most prominent examples of such under-researched chants are the multiple Irmos chants retained in the manuscripts of Koridze/Kereselidze, the Karbelashvilis, etc.

Hence, the volumes of this Anthology dedicated to the better-researched group of chants, will have more information of historical, liturgical or musical nature, while the Irmos chants (e.g. volumes VI – VIII of the Anthology) will be accompanied with less comments and annotations.

As already noted, the anthology is an academic/scientific publication, but its format does not presuppose comprehensive research. We hope that it will stimulate Georgian or foreign researchers working on Georgian chant to “fill in the blanks” in the scholarship on the subject.

Most of the chants in this Anthology have not been previously published. Therefore, its publication will make numerous previously unknown musical masterpieces available to chanters, choirs and anyone interested. This publication will facilitate the popularization of these chants through clergy and congregation, which is, essentially, the practical goal behind the creation of this Anthology.

The Anthology will be compiled in accordance with several principles – each volume will contain chants from one of the traditional chanting school (Svetitskhoveli, Shemokmedi or Gelati). Most of the volumes of the Anthology will mimic the collections published by Khundadze, Koridze, and the Karbelashvili brothers, as well as the notated collections (from the collections Q and H of the National Center of Manuscripts) which contain handwritten transcriptions by Kereselidze and Koridze, through a similar arrangement of content and composition of chants. Similarly, in this Anthology, the chants will be grouped according to liturgical order and ecclesiastical calendar.

In order for the Anthology to also have practical purposes, we attempt to restore the pieces missing from damaged manuscripts and organize the publication according to modern liturgical requirements; information about original sources is also documented.

The necessity for filling in the gaps arises when the source transcriptions contain notation for one voice only (manuscripts of P. Koridze and E. Kereselidze contain mainly the first voice, and many of the Karbelashvilis' manuscripts have reached our time containing the notation for one or two voices out of three. These “incomplete” chants will be presented in the Anthology in restored form.

Liturgical requirements occasionally necessitate usage of the method of chant reconstruction (contexture), when a poetic text from one chant is superimposed onto the musical text of another. On some occasions, musical structure is also revised (e.g. “Ton Despotin” chants where three recitals “Is Pollas” are required, instead of one). Obviously, all the particulars of such cases are discussed in detail, clearly explaining all revisions.

The Anthology of Georgian chant is intended for Georgian, as well as non-Georgian musicians and researchers – texts are presented in both the Georgian alphabet, as well as in transliteration, and the titles of the chants, comments, introductions and scholarly notes are printed in Georgian and English languages.

The Anthology follows the above-mentioned parameters throughout all volumes.

## Notated Sources of Georgian Chants<sup>1</sup>

Below is a list of published collections and manuscripts of Georgian chants stored in depositories and archives:

### ***1. Collections published at the turn of the 19<sup>th</sup> and 20<sup>th</sup> centuries:***

#### **a) Notated collections published by Philemon Koridze:**

1. “kartuli galoba: liturgia ioanne okropirisa // mghvdlisa da mghvdelmtavrisatvis” (“Georgian chanting: St. John the Chrysostome’s Devine Liturgy // for priests and bishops” // Reproduced by Philemon I. Koridze; transmitted by Anton N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, arch-deacon Razhden T. Khundadze and Ivliane Tsereteli. Several chants transmitted by Melkisedek G. Nakashidze and priest Nestor E. Kontridze. Score 1 // Tbilisi : Production and print by Maxime Sharadze, 1895.

2. “mitsvalebulis sagalobeli” (“Chants for the Deceased” / Score 3 / Reproduced by Philemon I. Koridze, funded by the Kutaisi Eparchy; transmitted by: Dimitri R. Chalaganidze, arch-deacon Razhden T. Khundadze and Ivliane Tsereteli / Tbilisi: Production by M. Sharadze, E. Kereselidze, S. Losaberidze and V. Gdzeldze, 1899.

---

